დანართი

მასწავლებლის შიდა შეფასების სტანდარტიზებული ინსტრუმენტები

ზოგადი დებულებები:

1. მასწავლებელს სავალდებულო ან/და დამატებით საქმიანობაში/აქტივობაში კრედიტქულა არ მიენიჭება შემდეგ შემთხვევებში:

   ა) თუ მასწავლებელი წარმოადგენს ისეთი სავალდებულო ან/და დამატებითი საქმიანობის/აქტივობის დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელიც შეფასებულია სხვა სავალდებულო ან/და დამატებითი საქმიანობის/აქტივობის ფარგლებში;

   ბ) თუ მასწავლებელი სავალდებული ან/და დამატებითი საქმიანობის/აქტოვობის განხორციელებისას არ დაიცავს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

   გ) თუ მასწავლებელი სრულად არ წარმოადგენს სავალდებულო ან/და დამატებითი საქმიანობის/აქტივობის განხორციელების დამადასტურებელ დოკუმენტაციას;

   დ) თუ მასწავლებლის შეფასების ჯგუფს აქვს საფუძვლიანი და დასაბუთებული ეჭვი, რომ რეალურად არ განხორციელებულა მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი სავალდებულო ან/და დამატებითი საქმიანობა/აქტივობა.

2. პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool) მასწავლებლის შეფასების ველში მიეთითება 0 (ნული) ქულა.

1. სასწავლო პროექტის შეფასება

მასწავლებლის მიერ შეფასების ჯგუფისთვის წარსადგენი დოკუმენტაცია:

1. სასწავლო პროექტის გეგმა;
2. რეფლექსია პროექტის განხორციელებაზე.

მასწავლებლის შეფასების ჯგუფი განიხილავს და აფასებს მასწავლებლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას მისთვის კრედიტქულის მინიჭების შესახებ.

დადებითად შეფასებულ პროექტზე ინფორმაციას და ამსახველ ფოტო-/ვიდეომასალას სკოლა განათავსებს სკოლის ვებ-გვერდზე (ან სოციალურ ქსელში სკოლის გვერდზე და/ან საკუთარ ბლოგზე).

სასწავლო პროექტის შეფასების სქემა

N	**კრიტერიუმი**	**1**	**2**	**3**	**4**
1	**პროექტის აქტუალურობის დასაბუთება**	პროექტით გათვალისწინებული პრობლემა არ არის აქტუალური, არ იკვეთება მისი განხორციელების საჭიროება.	პროექტის აქტუალურობაში მეტნაკლებად აღწერილია ინტერესი/საჭიროება/პრობლემა, რომელიც წარმოიშვება კონკრეტულ კლასში კონკრეტული თემის/საკითხის შესწავლისას. თუმცა, არ არის არც აღწერილი და არც დასაბუთებული პროექტის განხორციელების დადებითი ეფექტი.	პროექტის აქტუალურობაში აღწერილია ინტერესი/საჭიროება/პრობლემა, რომელიც წარმოიშვება კონკრეტულ კლასში კონკრეტული თემის/საკითხის შესწავლისას. თუმცა, ზოგადი და ზედაპირულია აღწერა და დასაბუთება, თუ როგორ შეიცვლება თითოეული მოსწავლისა და, ზოგადად, კლასის ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები	პროექტის აქტუალურობაში ზედმიწევნით და დამაჯერებლად არის აღწერილი ინტერესი/საჭიროება/პრობლემა, რომელიც წარმოიშვება კონკრეტულ კლასში კონკრეტული თემის/საკითხის შესწავლისას. აღწერილი და დასაბუთებულია, თუ როგორ შეიცვლება თითოეული მოსწავლისა და, ზოგადად, კლასის

				შესასწავლ თემასთან მიმართებით.	ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები შესასწავლ თემასთან მიმართებით.
2	**მიზნის ფორმულირება**	პროექტის მიზნები ბუნდოვანია, არ ჩანს კავშირი პროექტის აქტუალურობასა და ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. არ არის გაზომვადი.	პროექტის მიზნები ზოგადია, ნაწილობრივ ჩანს კავშირი პროექტის აქტუალურობასა და ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. ჭირს მათი გაზომვა.	პროექტის მიზნები შეესაბამება პროექტის აქტუალურობას და ეროვნულ სასწავლო გეგმას, თუმცა ზოგადია და გაძნელებულია მათი გაზომვა.	პროექტის მიზნები ნათელი, კონკრეტული და გაზომვადია, სრულად შეესაბამება პროექტის აქტუალურობას და ეროვნულ სასწავლო გეგმას.
3	**მოსალოდნელი შედეგები**	პროექტის მოსალოდნელი შედეგები არა არის მოცემული, ან ბუნდოვნადაა გაწერილი და არ შეესაბამება მიზნებს.	პროექტის მოსალოდნელი შედეგები ზოგადადაა გაწერილი და ნაწილობრივ შეესაბამება მიზნებს. გეგმაში არ ჩანს პროექტის შედეგების მდგრადობა.	პროექტის მოსალოდნელი მოკლევადიანი და გრძელვადიანი შედეგები დეტალურადაა გაწერილი და შეესაბამება მიზნებს, მაგრამ გეგმაში არ ჩანს პროექტის შედეგების მდგრადობა. **ან** პროექტის მოსალოდნელი მოკლევადიანი და გრძელვადიანი შედეგები დეტალურადაა გაწერილი, თუმცა სრულად არ შეესაბამება მიზნებს. გეგმაში ჩანს პროექტის შედეგების მდგრადობა. **ან** პროექტის მოსალოდნელი მოკლევადიანი და გრძელვადიანი შედეგები მეტნაკლებად ზოგადადაა გაწერილი, თუმცა შეესაბამება მიზნებს. გეგმაში ჩანს	პროექტის მოსალოდნელი მოკლევადიანი და გრძელვადიანი შედეგები დეტალურადაა გაწერილი და სრულად შეესაბამება მიზნებს. გეგმაში ჩანს პროექტის შედეგების მდგრადობა.

				პროექტის შედეგების მდგრადობა.	
4	**აქტივობების შესაბამისობა მიზანთან**	პროექტის საქმიანობები, აქტივობები მხოლოდ ჩამოთვლილია და არ უწყობს ხელს დასახული მიზნის მიღწევას. ვადები არ არის გაწერილი ან სრულიად არარეალისტურია.	აღწერილი საქმიანობები მხოლოდ ჩამოთვლილია, ამასთანავე, ნაწილობრივ უწყობს ხელს დასახული შედეგების მიღწევას. ვადები პროექტის შედეგების მისაღწევად გაწერილია, მაგრამ ნაკლებად რეალისტურია.	პროექტის ფარგლებში აღწერილი საქმიანობები, აქტივობები დეტალურად არის წარმოდგენილი. თუმცა, აღწერილი საქმიანობები, აქტივობები ნაწილობრივ უწყობს ხელს დასახული შედეგების მიღწევას. პროექტის შედეგების მისაღწევად გაწერილია რეალისტური ვადები. **ან** პროექტის ფარგლებში აღწერილი საქმიანობები ზოგადად არის აღწერილი, თუმცა, აღწერილი საქმიანობები, აქტივობები ხელს უწყობს დასახული შედეგების მიღწევას. პროექტის შედეგების მისაღწევად გაწერილია რეალისტური ვადები. **ან** პროექტის ფარგლებში აღწერილი საქმიანობები, აქტივობები დეტალურად არის წარმოდგენილი და სრულად უწყობს ხელს დასახული შედეგების მიღწევას. თუმცა, ზოგიერთი	პროექტის ფარგლებში აღწერილი საქმიანობები, აქტივობები საკმაოდ დეტალურად არის წარმოდგენილი და სრულად უწყობს ხელს დასახული შედეგების მიღწევას. ვადები პროექტის შედეგების მისაღწევად დეტალურად (თითოეული აქტივობისთვის) არის გაწერილი და რეალისტურია.

				აქტივობისთვის განსაზღვრული დრო ნაკლებად რეალისტურია.	
5	**მოსწავლეთა ცოდნის, ასაკის, ინტერესისა და გამოცდილების გათვალისწინება**	პროექტში მონაწილე მოსწავლეთა ცოდნა და/ან ასაკი და/ან გამოცდილება პროექტით დასახული მიზნისა და დაგეგმილი შედეგების მისაღწევად არ არის შესაბამისი, პროექტის გეგმაში არ ჩანს დავალებათა დიფერენცირება მოსწავლეთა ინტერესისა და საჭიროებების გათვალისწინებით.	პროექტში მონაწილე მოსწავლეთა ასაკი და/ან ცოდნა და/ან გამოცდილება პროექტით დასახული მიზნებისა და დაგეგმილი შედეგების მისაღწევად უმეტესად არ არის შესაბამისი. პროექტის გეგმაში ნაკლებად ჩანს დავალებათა დიფერენცირება მოსწავლეთა ინტერესისა და საჭიროებების გათვალისწინებით.	პროექტში მონაწილე მოსწავლეთა ასაკი, ცოდნა და გამოცდილება პროექტით დასახული მიზნებისა და დაგეგმილი შედეგების მისაღწევად შესაბამისია. თუმცა, ნაკლებად გვხვდება აქტივობები განსხვავებული ინტერესისა და საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის.	პროექტში მონაწილე მოსწავლეთა ცოდნა, ასაკი და გამოცდილება პროექტით დასახული მიზნებისა და დაგეგმილი შედეგების მისაღწევად სრულიად შესაბამისია. გათვალისწინებულია აქტივობები განსხვავებული ინტერესისა და საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის.
6	**პროექტის მონიტორინგი და შეფასება**	პროექტის მონიტორინგისა და შეფასების სტრატეგია არ არის გაწერილი, ან გაწერილია იმდენად ზოგადად, რომ შეუძლებელია პროექტის შეფასება.	პროექტის გეგმაში გაწერილი პროექტის მონიტორინგისა და შეფასების სტრატეგია ზოგადია და ზერელე. ასევე ზოგადია პროექტის წარმატების გასაზომი კრიტერიუმები, რაც აძნელებს პროექტის მიმდინარეობისა და პროდუქტის შეფასებას.	პროექტის გეგმაში გაწერილია პროექტის მონიტორინგისა და შეფასების სტრატეგია, თუმცა პროექტის წარმატების გასაზომი კრიტერიუმები, ძირითადად, ზოგადია და ზოგიერთ კომპონენტში ნაკლებად იძლევა პროექტის მიმდინარეობისა და პროდუქტის შეფასების საშუალებას.	პროექტის გეგმაში დეტალურადაა გაწერილი პროექტის მონიტორინგისა და შეფასების სტრატეგია და პროექტის წარმატების გასაზომი კრიტერიუმები, რომლებიც სრულად იძლევა პროექტის მიმდინარეობისა და პროდუქტის შეფასების საშუალებას.
7	**მოსწავლეთა ჩართულობა პროექტის იდეის განვითარებაში, დაგეგმვაში, განხორციელებაში,**	წარმოდგენილი დოკუმენტაციით მოსწავლეთა ჩართულობა იკვეთება პროექტის მხოლოდ განხორციელების ეტაპზე, ისიც - მინიმალურად.	წარმოდგენილი დოკუმენტაციით მოსწავლეთა ჩართულობა პროექტის თითოეულ ეტაპზე მცირეა. **ან** მონაწილეები ჩართულნი არიან პროექტში, მაგრამ	წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ მოსწავლეები მეტნაკლებად ჩართულნი იყვნენ პროექტის ყველა ეტაპზე - იდეის განვითარებაში, დაგეგმვაში, მიმდინარეობაში,	წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად და უტყუარად ჩანს, რომ მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულნი როგორც პროექტის იდეის განვითარებაში, ასევე

	მონიტორინგსა და შეფასებაში.		მხოლოდ მისი განხორციელების ეტაპზე.	მონიტორინგსა და შეფასებაში. **ან** წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ მოსწავლეების ჩართულნი იყვნენ პროექტის ეტაპების უმეტესობაში.	პროექტის დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში.
8	**პროექტის სტრუქტურა**	პროექტი არ არის ორგანიზებული ლოგიკურად, სრულიად დარღვეულია პროექტის სტრუქტურა. დაწერილია გაუგებარი ენით.	პროექტის სტრუქტურა უმეტესად დარღვეულია, აკლია ლოგიკურობა და თანამიმდევრულობა. არ არის დაწერილი აკადემიური ენით და ნაკლებად ლაკონურია.	პროექტის გეგმა კარგად არის სტრუქტურირებული, ლოგიკურად და თანამიმდევრულად არის დაცული პროექტის ფორმატი. თუმცა, პროექტი არ არის დაწერილი ლაკონურად, აკადემიური ენით.	პროექტის გეგმა სანიმუშოდაა სტრუქტურირებული, ლოგიკურად და თანმიმდევრულად არის დაცული პროექტის ფორმატი. პროექტი გაფორმებულია ლაკონურად, აკადემიური ენით.
9	**რეფლექსია პროექტის განხორციელებაზე**	რეფლექსიის ზოგიერთ კითხვაზე გვხვდება პასუხები, თუმცა ისინი მეტად ზოგადი, ზერელე და არაფრისმთქმელია.	რეფლექსიის თითქმის ყველა კითხვაზე გვხვდება პასუხები, თუმცა პასუხები ზოგადი და ზერელეა.	პასუხი გაცემულია პროექტის განხორციელების რეფლექსიის ყველა კითხვაზე, თუმცა ზოგიერთი პასუხი ზოგადია **ან** კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით და არგუმენტირებულად არის პასუხები გაცემული პროექტის განხორციელების რეფლექსიის თითქმის ყველა კითხვაზე	სრულყოფილად, კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით და არგუმენტირებულად არის პასუხები გაცემული პროექტის განხორციელების რეფლექსიის კითხვებზე: • მოხერხდა თუ არა დასახული მიზნების მიღწევა? • რომელი აქტივობები წარიმართა გეგმის შესაბამისად? რომელი ვერ განხორციელდა და რატომ?

					• რომელ კომპონენტში იყო პროექტი ყველაზე წარმატებული და რატომ? • რა სარგებელი მიიღეს პროექტის მონაწილეებმა? • რა საჭიროებს გაუმჯობესებას და როგორ? • მოხდა თუ არა პროექტის განხორციელების პროცესში აქტივობების დამატება და/ან მოდიფიცირება და რატომ? • რას გავითვალისწინებ მომავალში მსგავს პროექტზე მუშაობისას?

მასწავლებლისთვის კრედიტქულის მინიჭება:

სასწავლო პროექტის შეფასების მაქსიმალური ქულაა 36. მასწავლებელს მიენიჭება 0,5 კრედიტქულა, თუ ის დააგროვებს ქულათა ჯამური რაოდენობის 60%-ს და მეტს, ანუ მინიმუმ 22 ქულას.

2. სოციალური პროექტი

მასწავლებლის მიერ შეფასების ჯგუფისთვის წარსადგენი დოკუმენტაცია:

1. სოციალური პროექტის გეგმა;
2. რეფლექსია პროექტის განხორციელებაზე.

მასწავლებლის შეფასების ჯგუფი განიხილავს და აფასებს მასწავლებლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას მისთვის კრედიტქულის მინიჭების შესახებ.

დადებითად შეფასებულ პროექტზე ინფორმაციას და ამსახველ ფოტო-/ვიდეომასალას სკოლა განათავსებს სკოლის ვებ-გვერდზე (ან სოციალურ ქსელში სკოლის გვერდზე და/ ან საკუთარ ბლოგზე).

სოციალური პროექტის შეფასების სქემა

N	კრიტერიუმი	1	2	3	4
1	**პროექტის აქტუალურობის დასაბუთება**	პროექტით გათვალისწინებული საკითხი არა არის აქტუალური, არ იკვეთება მისი განხორცილების საჭიროება.	პროექტის აქტუალურობაში მეტნაკლებად აღწერილია სოციალური საჭიროება/პრობლემა, რომელიც რეალურად დგას კონკრეტული ადამიანის, კლასის,	პროექტის აქტუალურობაში აღწერილია სოციალური საჭიროება/პრობლემა, რომელიც რეალურად დგას კონკრეტული ადამიანის, კლასის, ჯგუფისა თუ თემის წინაშე, თუმცა ზოგადადაა აღწერილი პროექტის დადებითი ეფექტები.	პროექტის აქტუალურობაში ზედმიწევნით და დამაჯერებლად არის აღწერილი სოციალური საჭიროება/პრობლემა, რომელიც რეალურად დგას კონკრეტული ადამიანის, კლასის, ჯგუფისა თუ თემის წინაშე. დასაბუთებულია

			ჯგუფისა თუ თემის წინაშე. თუმცა, არ არის არც აღწერილი და არც დასაბუთებული პროექტის განხორციელების დადებითი ეფექტი.		პროექტის დადებითი ეფექტები.
2	**მიზნის ფორმულირება**	პროექტის მიზნები ბუნდოვანია, არ ჩანს კავშირი არც ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან და არც პრობლემის დაძლევის ავტორისეულ ხედვასთან. შეუძლებელია მათი გაზომვა.	პროექტის მიზნები მეტად ზოგადია, ნაწილობრივ ჩანს კავშირი პრობლემის დაძლევის ავტორისეულ ხედვასთან და ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. ძნელია მათი გაზომვა.	პროექტის მიზნები შეესაბამება აღწერილ საჭიროებას / პრობლემის დაძლევის ხედვას. იკვეთება კავშირი ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. თუმცა ზოგადია, ძნელია მათი გაზომვა.	პროექტის მიზნები ნათელი, კონკრეტული და გაზომვადია, სრულად შეესაბამება აღწერილ საჭიროებას / პრობლემის დაძლევის ხედვას და ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.
3	**მოსალოდნელი შედეგები**	პროექტის მოსალოდნელი შედეგები არ არის წარმოდგენილი, ან ბუნდოვნადაა გაწერილი და არ შეესაბამება მიზნებს.	პროექტის მოსალოდნელი შედეგები ზოგადადაა გაწერილი და ნაწილობრივ შეესაბამება მიზნებს. პროექტის შედეგების მდგრადობა არ ჩანს გეგმაში.	პროექტის მოსალოდნელი მოკლევადიანი და გრძელვადიანი შედეგები დეტალურადაა გაწერილი და შეესაბამება მიზნებს, მაგრამ გეგმაში არ ჩანს პროექტის შედეგების მდგრადობა. **ან** პროექტის მოსალოდნელი მოკლევადიანი და გრძელვადიანი შედეგები დეტალურადაა გაწერილი, მაგრამ სრულად არ შეესაბამება მიზნებს. გეგმაში ჩანს პროექტის შედეგების მდგრადობა. **ან**	პროექტის მოსალოდნელი მოკლევადიანი და გრძელვადიანი შედეგები დეტალურადაა გაწერილი და სრულად შეესაბამება მიზნებს. გეგმაში ჩანს პროექტის შედეგების მდგრადობა.

				პროექტის მოსალოდნელი მოკლევადიანი და გრძელვადიანი შედეგები შედარებით ზოგადადაა გაწერილი, მაგრამ შეესაბამება მიზნებს. გეგმაში ჩანს პროექტის შედეგების მდგრადობა.	
4	**აქტივობების შესაბამისობა მიზანთან**	პროექტით გათვალისწინებული საქმიანობები, აქტივობები მხოლოდ ჩამოთვლილია და არ უწყობს ხელს დასახული შედეგების მიღწევას. ვადები არ არის გაწერილი ან სრულიად არარეალისტურია.	პროექტით გათვალისწინებული საქმიანობები მხოლოდ ჩამოთვლილია, ამასთანავე, ნაწილობრივ უწყობს ხელს დასახული შედეგების მიღწევას. ვადები პროექტის შედეგების მისაღწევად გაწერილია, მაგრამ ნაკლებად რეალისტურია.	პროექტით გათვალისწინებული საქმიანობები, აქტივობები დეტალურად არის წარმოდგენილი. თუმცა, აღწერილი საქმიანობები, აქტივობები ნაწილობრივ უწყობს ხელს დასახული შედეგების მიღწევას, პროექტის შედეგების მისაღწევად გაწერილია რეალისტური ვადები. **ან** პროექტის საქმიანობები, აქტივობები ზოგადად არის აღწერილი, თუმცა, აღწერილი საქმიანობები, აქტივობები ხელს უწყობს დასახული შედეგების მიღწევას. პროექტის შედეგების მისაღწევად გაწერილია რეალისტური ვადები. **ან** პროექტის საქმიანობები, აქტივობები დეტალურად არის წარმოდგენილი და სრულად უწყობს ხელს დასახული შედეგების მიღწევას. თუმცა, ზოგიერთი აქტივობისთვის	პროექტით გათვალისწინებული საქმიანობები, აქტივობები საკმაოდ დეტალურად არის წარმოდგენილი და სრულად უწყობს ხელს დასახული შედეგების მიღწევას. ვადები პროექტის შედეგების მისაღწევად დეტალურად (თითოეული აქტივობისთვის) არის გაწერილი და რეალისტურია.

				განსასზღვრული დრო ნაკლებად რეალისტურია.	
5	**პროექტში მონაწილეთა გამოცდილების გათვალისწინება**	პროექტში მონაწილეთა გამოცდილება დასახული მიზნებისა და შედეგების მისაღწევად შეუსაბამოა.	პროექტში მონაწილეთა გამოცდილება დასახული მიზნებისა და შედეგების მისაღწევად უმეტესად არ არის შესაბამისი. პროექტის გეგმაში ნაკლებად ჩანს დავალებათა დიფერენცირება მოსწავლეთა გამოცდილებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.	პროექტში მონაწილეთა გამოცდილება მიზნებისა და შედეგების მისაღწევად მეტნაკლებად საკმარისია, პროექტის გეგმაში გვხვდება აქტივობები განსხვავებული გამოცდილებისა და საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის **ან** პროექტში მონაწილეთა გამოცდილება პროექტით დასახული მიზნებისა და შედეგების მისაღწევად საკმარისია. თუმცა, მეტნაკლებად არის გათვალისწინებული აქტივობები განსხვავებული გამოცდილებისა და საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის.	პროექტში მონაწილეთა გამოცდილება დასახული მიზნებისა და შედეგების მისაღწევად სრულიად საკმარისია. პროექტის გეგმაში გათვალისწინებულია აქტივობები განსხვავებული გამოცდილებისა და საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის.
6	**პროექტის მონიტორინგი და შეფასება**	პროექტის მონიტორინგისა და შეფასების სტრატეგია არ არის გაწერილი, ან გაწერილია იმდენად ზოგადად, რომ შეუძლებელია პროექტის შეფასებ.	პროექტის გეგმაში გაწერილი პროექტის მონიტორინგისა და შეფასების სტრატეგია ზოგადია და ზერელე. ასევე ზოგადია პროექტის წარმატების გასაზომი კრიტერიუმები, რაც აძნელებს პროექტის მიმდინარეობისა და პროდუქტის შეფასებას.	პროექტის გეგმაში გაწერილია პროექტის მონიტორინგისა და შეფასების სტრატეგია, თუმცა პროექტის წარმატების გასაზომი კრიტერიუმები, ძირითადად, ზოგადია და ზოგიერთ კომპონენტში ნაკლებად იძლევა პროექტის მიმდინარეობისა და პროდუქტის შეფასების საშუალებას.	პროექტის გეგმაში დეტალურადაა გაწერილი პროექტის მონიტორინგისა და შეფასების სტრატეგია და პროექტის წარმატების გასაზომი კრიტერიუმები, რაც სრულად იძლევა პროექტის მიმდინარეობისა და პროდუქტის შეფასების საშუალებას.
7	**პროექტში მონაწილეთა (მოსწავლე, მშობელი,**	წარმოდგენილი დოკუმენტაციით მონაწილეთა	წარმოდგენილი დოკუმენტაციით პროექტის მონაწილეთა	წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ პროექტის მონაწილეები მეტნაკლებად ჩართულნი იყვნენ	წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად და უტყუარად ჩანს, რომ

	თემი და სხვ.) ჩართულობა პროექტის იდეის განვითარებაში, დაგეგმვაში, განხორციელებაში, მონიტორინგსა და შეფასებაში.	ჩართულობა იკვეთება პროექტის მხოლოდ განხორციელების ეტაპზე და ისიც მინიმალურად.	ჩართულობა პროექტის თითოეულ ეტაპზე მცირეა. **ან** მონაწილეები ჩართულნი არიან, მაგრამ მხოლოდ პროექტის განხორციელების ეტაპზე.	პროექტის ყველა ეტაპზე - იდეის განვითარებაში, დაგეგმვაში, განხორციელებაში, მონიტორინგსა და შეფასებაში. **ან** წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ პროექტის მონაწილეები ჩართულნი იყვნენ პროექტის ეტაპების უმეტესობაში.	პროექტის მონაწილეები აქტიურად იყვნენ ჩართულნი როგორც პროექტის იდეის განვითარებაში, ისე მისი დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში.
8	**პროექტის განხორცილების რისკებისა და შესაძლო ხარვეზების გათვალისწინება**	პროექტის განხორციელების რისკები, შესაძლო ხარვეზები და მათი თავიდან აცილების გზები არა არის იდენტიფიცირებული.	პროექტის განხორციელების რისკები და შესაძლო ხარვეზები მეტნაკლებად იდენტიფიცირებულია, მაგრამ არ არის მოცემული მათი თავიდან აცილების გზები.	პროექტის განხორციელების რისკები, შესაძლო ხარვეზები და მათი თავიდან აცილების გზები ნაწილობრივ იდენტიფიცირებულია და გათვალისწინებული. **ან** პროექტის განხორციელების რისკები, შესაძლო ხარვეზები და მათი თავიდან აცილების გზები იდენტიფიცირებულია, თუმცა ნაწილობრივ არის გათვალისწინებული.	პროექტის განხორციელების რისკები, შესაძლო ხარვეზები და მათი თავიდან აცილების გზები ამომწურავად არის იდენტიფიცირებული და გაანალიზებული.
9	**პროექტის სტრუქტურა**	პროექტი არ არის ორგანიზებული ლოგიკურად, სრულიად დარღვეულია პროექტის სტრუქტურა. დაწერილია გაუგებარი ენით.	პროექტის სტრუქტურა უმეტესად დარღვეულია, აკლია ლოგიკურობა და თანმიმდევრულობა. არ არის დაწერილი აკადემიური ენით და ნაკლებად ლაკონურია.	პროექტის გეგმა კარგად არის სტრუქტურირებული, პროექტის ფორმატი ლოგიკური და თანმიმდევრულია. თუმცა, პროექტი არ არის წარმოდგენილი ლაკონურად და აკადემიური ენით.	პროექტის გეგმა სანიმუშოდაა სტრუქტურირებული, პროექტის ფორმატი ლოგიკური და თანმიმდევრულია. პროექტი გაფორმებულია ლაკონურად, აკადემიური ენით.
10	**რეფლექსია პროექტის განხორციელებაზე**	რეფლექსიის ზოგიერთ კითხვაზე გაცემულია პასუხები, თუმცა ისინი	რეფლექსიის თითქმის ყველა კითხვაზე გაცემულია პასუხები,	რეფლექსიის ყველა კითხვაზე არის გაცემული პასუხი, თუმცა	სრულყოფილად, კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით და

		მეტად ზოგადი, ზერელე და არაფრისმთქმელია.	თუმცა პასუხები ზოგადი და ზერელეა.	ზოგიერთ კითხვაზე პასუხი ზოგადია **ან** კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით და არგუმენტირებულად არის გაცემული პასუხები რეფლექსიის თითქმის ყველა კითხვაზე.	არგუმენტირებულად არის პასუხები გაცემული პროექტის განხორციელების რეფლექსიის კითხვებზე: • მოხერხდა თუ არა დასახული მიზნების მიღწევა? • რომელი აქტივობები წარიმართა გეგმის შესაბამისად? რომელი ვერ განხორციელდა და რატომ? • რომელ კომპონენტში იყო პროექტი ყველაზე წარმატებული და რატომ? • რა სარგებელი მიიღეს პროექტის მონაწილეებმა? • რა საჭიროებს გაუმჯობესებას და როგორ? • მოხდა თუ არა პროექტის განხორციელების პროცესში აქტივობების დამატება და/ან მოდიფიცირება და რატომ? რას გავითვალისწინებ მომავალში მსგავს პროექტზე მუშაობისას?

მასწავლებლისთვის კრედიტქულების მინიჭება:

სოციალური პროექტის შეფასების მაქსიმალური ქულაა 40. მასწავლებელს მიენიჭება 0,5 კრედიტქულა, თუ ის დააგროვებს ქულათა ჯამური რაოდენობის 60%-ს და მეტს, ანუ მინიმუმ 24 ქულას.

3. დისტანციური სწავლება

მასწავლებლის მიერ შეფასების ჯგუფისთვის წარსადგენი დოკუმენტაცია:

- სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტაცია.

მასწავლებლის შეფასების ჯგუფი განიხილავს მასწავლებლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას მისთვის კრედიტქულის მინიჭების შესახებ

მასწავლებლისთვის კრედიტქულების მინიჭება:

მასწავლებელს მიენიჭება 0,5 კრედიტქულა, თუ მის მიერ შესაფასებლად წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეფასდება დადებითად.

4. სემესტრის განმავლობაში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში

მასწავლებლის მიერ შეფასების ჯგუფისთვის წარსადგენი დოკუმენტაცია:

1. თემატური გეგმა, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით განხორციელებული სულ მცირე 3 აქტივობა;
2. შექმნილი ელექტრონული რესურსი / გამოყენებული ელექტრონული რესურსის ბმული;
3. სასწავლო პროცესში ისტ-ის გამოყენების რეფლექსია.

მასწავლებლის შეფასების ჯგუფი განიხილავს და აფასებს მასწავლებლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას მისთვის კრედიტქულის მინიჭების შესახებ.

სასწავლო პროცესში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების შეფასების სქემა

N	კრიტერიუმი	1	2	3	4
1.	**ისტ-ის გამოყენების მიზანი**	მასწავლებლის მიერ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება არ უწყობს ხელს დასახული სასწავლო მიზნის/მიზნების მიღწევას; არ პასუხობს ესგ-ის საგნობრივი პროგრამის შესაბამის შედეგებსა და ინდიკატორებს.	მასწავლებლის მიერ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება მხოლოდ ნაწილობრივ უწყობს ხელს დასახული სასწავლო მიზნის/მიზნების მიღწევას; პასუხობს ესგ-ის საგნობრივი პროგრამის შესაბამისი შედეგებისა და	მასწავლებლის მიერ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება ხელს უწყობს დასახული სასწავლო მიზნის/მიზნების მიღწევას; პასუხობს ესგ-ის საგნობრივი პროგრამის შესაბამისი შედეგებისა და ინდიკატორების უმრავლესობას.	მასწავლებლის მიერ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სრულად უზრუნველყოფს დასახული სასწავლო მიზნის/მიზნების მიღწევას, რომლებიც გამომდინარეობს ესგ-ის საგნობრივი პროგრამის შესაბამისი შედეგებიდან და ინდიკატორებიდან.

			ინდიკატორების მხოლოდ მცირე ნაწილს.		
2.	**სასწავლო პროცესის ინტექრაქტიურობა**	მასწავლებელი არ იყენებს და ვერ ქმნის პროგრამებს ან ელ-რესურსებს, რომლებიც აძლევს საშუალებას მოსწავლეს, აქტიურად ჩაერთოს სასწავლო პროცესის მიზნების მიღწევაში.	მასწავლებლის მიერ გამოყენებული პროგრამა ან შექმნილი პრეზენტაცია ან ელ-რესურსი არ აძლევს საშუალებას მოსწავლეს, სრულფასოვნად ჩაერთოს სასწავლო პროცესში.	მასწავლებლის მიერ გამოყენებული ან შექმნილი პროგრამა ან პრეზენტაცია ან ელ-რესურსი ზოგიერთ ეტაპზე აძლევს საშუალებას მოსწავლეს, ჩაერთოს სასწავლო პროცესში.	მასწავლებლის მიერ გამოყენებული ან შექმნილი პროგრამა, პრეზენტაცია ან ელ-რესურსი საშუალებას აძლევს მოსწავლეს, აქტიურად ჩაერთოს სასწავლო პროცესის მიზნების მიღწევაში.
3.	**ისტ-ის ინოვაციური და შემოქმედებითი გამოყენება** **(დადებითი ზეგავლენა პროცესზე)**	მასწავლებელი არ იყენებს ისტ-ს სასწავლო პროცესზე დადებითი ზეგავლენისათვის.	ისტ-ის გამოყენება არის ფორმალური და არ სცდება სახელმძღვანელოსა და საგნის პროგრამაში გაწერილ მოცემულობას.	ისტ-ის გამოყენებით სასწავლო პროცესი არის შემოქმედებითი: ისტ არის ინფორმაციის კვლევის, ორგანიზების, შეფასებისა და კომუნიკაციის საშუალება.	ისტ-ის გამოყენებით სასწავლო პროცესი არის ინოვაციური და შემოქმედებითი: ისტ არის ინფორმაციის კვლევის, ორგანიზების, შეფასებისა და კომუნიკაციის საშუალება.
4.	**კიბერუსაფრთხოება და ისტ-ის გამოყენების ეთიკა**	სასწავლო პროცესში ისტ-ის გამოყენებისას სოციალური, ეთიკური და სამართლებრივი ნორმები არ არის დაცული.	სასწავლო პროცესში ისტ-ის გამოყენებისას სოციალური, ეთიკური და სამართლებრივი ნორმები მეტნაკლებად დაცულია.	სასწავლო პროცესში ისტ-ის გამოყენებისას, ძირითადად, დაცულია სოციალური, ეთიკური და სამართლებრივი ნორმები.	სასწავლო პროცესში ისტ-ის გამოყენებისას სრულად არის დაცული სოციალური, ეთიკური და სამართლებრივი ნორმები.

მასწავლებლისათვის კრედიტქულების მინიჭება:

აქტივობის შეფასების მაქსიმალური ქულაა 16. მასწავლებელი მოიპოვებს 0,5 კრედიტქულას, თუ ის დააგროვებს ქულათა ჯამური რაოდენობის 60%-ს და მეტს, ანუ მინიმუმ 10 ქულას.

5. საგანმანათლებლო ბლოგის ავტორობა

მასწავლებლის მიერ შეფასების ჯგუფისათვის წარსადგენი დოკუმენტაცია:

- კონკრეტულ ინტერნეტ-მისამართზე განთავსებული მოქმედი ბლოგი, რომელზეც დადასტურებულია ავტორის ვინაობა[1].

მასწავლებლის შეფასების ჯგუფი განიხილავს და აფასებს მასწავლებლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას მისთვის კრედიტქულის მინიჭების შესახებ.

საგანმანათლებლო ბლოგის ავტორის შეფასების ფორმა

N	კრიტერიუმი	1	2	3	4
1	**შინაარსობრივი გამართულობა და ინფორმაციის სანდოობა**	ბლოგი მოიცავს მოკლე, არაარსებით ინფორმაციას და სუსტ / დაუზუსტებელ ან არასწორ განსაზღვრებებს საგნის სწავლების მეთოდოლოგიასა და მიდგომებთან დაკავშირებით.	ბლოგი მოიცავს ფრაგმენტულ ინფორმაციას და არასრულ განსაზღვრებებს საგნის სწავლების მეთოდოლოგიასა და მიდგომებთან დაკავშირებით.	ბლოგი მოიცავს ზოგად ინფორმაციას და განსაზღვრებებს საგნის სწავლების მეთოდოლოგიასა და მიდგომებთან დაკავშირებით.	ბლოგი მოიცავს ვრცელ, განზოგადებულ, ასევე კონკრეტულ, არსებით ინფორმაციასა და განსაზღვრებებს საგნის სწავლების მეთოდოლოგიასა და მიდგომებთან დაკავშირებით.

[1] აღნიშნული ბლოგის ელექტრონული მისამართი მასწავლებელს შეუძლია Eschool-ის ბაზაში ატვირთოს Word დოკუმენტის საშუალებით.

2	**მინიშნებები** **(ბმულები)**	ბლოგზე მითითებული არ არის მნიშვნვნელოვანი ვებ-გვერდები.	ბლოგზე წარმოდგენილია ზოგიერთი საჭირო ვებ-გვერდი და შესაბამისი ბმულები	ბლოგზე წარმოდგენილია კატეგორიებად დაყოფილი მნიშვნელოვანი ვებ-გვერდების ჩამონათვალი და შესაბამისი ბმულები.	ბლოგზე წარმოდგენილია კატეგორიებად დაყოფილი მნიშვნელოვანი ვებ-გვერდების ჩამონათვალი თითოეული წყაროს მოკლე აღწერასთან ერთად.
3	**ბლოგის ორგანიზება**	ბლოგს არ გააჩნია საწყისი გვერდი. რთულია ბლოგზე ნავიგაცია და ინფორმაციის მოძიება. ჰიპერტექსტური ბმულების უმეტესობა არ მუშაობს. .	ბლოგს აქვს საწყისი გვერდი. წარმოდგენილია ჰიპერტექსტური ბმულები ვებ-გვერდზე გადაადგილებისათვის, მაგრამ ვებ-გვერდის შინაარსი, მისი მიზნები მკაფიოდ არ არის განსაზღვრული. ზოგიერთი ჰიპერტექსტური ბმული არ მუშაობს. ბლოგი არ იძლევა მოქნილი ნავიგაციისა და ინფორმაციის სწრაფად მოძიების საშუალებას.	ბლოგს აქვს საწყისი გვერდი, სადაც აღწერილია ვებგვერდის შინაარსი, მისი მიზნები და წარმოდგენილია ჰიპერტექსტური ბმულები ვებგვერდზე ნავიგაციისთვის. ჰიპერტექსტური ბმულები მკითხველს საიტზე ნავიგაციის საშუალებას აძლევს.	ბლოგი კარგად არის ორგანიზებული. საწყის გვერდზე აღწერილია ბლოგის მიზანი და შინაარსი, ასევე წარმოდგენილია ჰიპერტექსტური ბმულები ვებ-გვერდზე ნავიგაციისთვის. ჰიპერტექსტური ბმულები მკითხველს ვებ-გვერდზე ნავიგაციას უადვილებს.
4	**გრაფიკული ელემენტების გამოყენება**	ბლოგი თითქმის მთლიანად ტექსტურია **ან** გამოყენებულია გრაფიკული გამოსახულებები და ვებ-გვერდის სხვა ელემენტები, რომლებიც ხელს უშლის ან აბნევს მომხმარებლებს, გაიზროს და გაიგოს ავტორის/ბლოგის მიზნები.	ბლოგზე გამოყენებულია გრაფიკული გამოსახულებები და ვებ-გვერდის სხვა ელემენტები, მაგრამ ზოგჯერ ისინი შეუსაბამოა ან ხელს უშლის ავტორის/ბლოგის მიზნების გამოხატვას.	ბლოგზე გამოყენებულია გრაფიკული გამოსახულებები და ვებ გვერდის სხვა ელემენტები, რაც ვებ-გვერდს საინტერესოს ხდის როგორც ვიზუალურად, ისე შინაარსობრივად	ბლოგზე გამოყენებულია მრავალფეროვანი გრაფიკული გამოსახულებები და ვებ-გვერდის სხვა ელემენტები, რაც ვებ-გვერდს საინტერესოს და მიმზიდველს ხდის როგორც ვიზუალურად, ისე შინაარსობრივად, ასევე კარგად გადმოსცემს ავტორის სათქმელს.

5	**ბლოგზე განთავსებული გამოკითხვა უკუკავშირის მიღების მიზნით**	ბლოგზე განთავსებულია გამოკითხვა, რომელიც სუსტად ასახავს საგნის სწავლების მეთოდოლოგიისა და მიდგომების პრობლემურ მხარეებთან. კითხვები გაბატონებული შეხედულებების გარშემოა დასმული და მხოლოდ ერთ მოსაზრებას წარმოაჩენს.	ბლოგზე განთავსებულია გამოკითხვა, რომელიც გვაწვდის ინფორმაციას, თუ რას ფიქრობენ მკითხველები საგნის სწავლების მეთოდოლოგიასა და მიდგომების შესახებ, მაგრამ მასში არ არის გათვალისწინებული პედაგოგების როლი ამ პროცესში. რამდენიმე შეკითხვა გაბატონებულ შეხედულებებს ასახავს და მხოლოდ გარკვეული მოსაზრებების შესახებ გვაწვდის ინფორმაციას.	ბლოგზე განთავსებულია გამოკითხვა, რომელიც გვაწვდის ინფორმაციას, თუ რას ფიქრობენ მკითხველები საგნის სწავლების მეთოდოლოგიისა და მიდგომების შესახებ. კითხვები ობიექტური და მიუკერძოებელია.	ბლოგზე განთავსებულია გამოკითხვა, რომელიც გვაწვდის ვრცელ ინფორმაციას, თუ რას ფიქრობენ მკითხველები საგნის სწავლების მეთოდოლოგიასა და მიდგომების, პრობლემების შესახებ. კითხვები არის ობიექტური, მიუკერძოებელი და მიზნად ისახავს სწავლა-სწავლების პრობლემებთან დაკავშირებით რაც შეიძლება მეტი მოსაზრების შეგროვებას.

მასწავლებლისათვის კრედიტქულების მინიჭება:

აქტივობის შეფასების მაქსიმალური ქულაა 20. იმისათვის, რომ მასწავლებელმა მოიპოვოს 1 კრედიტქულა, მან უნდა დააგროვოს ქულათა ჯამური რაოდენობის 60% და მეტი, ანუ მინიმუმ 12 ქულა.

6. კონკურსებისათვის, ოლიმპიადებისათვის, შეჯიბრებებისათვის (მათ შორის სპორტული და სახელოვნებო) მოსწავლის / მოსწავლეების მომზადება

მასწავლებლის მიერ შეფასების ჯგუფისათვის წარსადგენი დოკუმენტაცია:

1. ღონისძიებაში მოსწავლეთა მონაწილეობის დამადასტურებელი საბუთის (სერტიფიკატის, სიგელის, დიპლომის) ან ცნობის დასკანერებული ასლი;
2. კონკურსისთვის / ოლიმპიადისთვის / შეჯიბრისთვის მოსამზადებლად ცალკეულ მოსწავლესთან ან მოსწავლეთა ჯგუფთან ჩასატარებელი გაკვეთილების პროგრამა;
3. მასწავლებლის რეფლექსია.

მასწავლებლის შეფასების ჯგუფი განიხილავს მასწავლებლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას მისთვის კრედიტქულის მინიჭების შესახებ.

მოსწავლეთა კონკურსისთვის / ოლიმპიადისთვის / შეჯიბრისთვის მოსამზადებლად ჩატარებული სამუშაოს შეფასების სქემა

შეესაბამება - 1 ქულა, არ შეესაბამება - 0 ქულა

N	კრიტერიუმები	შეესაბამება	არ შეესაბამება
1	პროგრამაში აღწერილია საქმიანობის ტიპი, მიზანი და მისი მიღწევის გზები		
2	პროგრამა სრულყოფილად ასახავს განსახორციელებელი აქტივობების თანამიმდევრობას და მათ შესაბამისობას საქმიანობის მიზანთან		
3	გამოყენებული რესურსები შეესაბამება და ემსახურება მიზნის მიღწევას დაგეგმილი აქტივობების გზით		

4	რეფლექსიაში მასწავლებელს დასაბუთებული აქვს გაწეული საქმიანობის / ჩატარებული აქტივობების ეფექტურობა მიზნის მისაღწევად		
5	რეფლექსიაში მასწავლებელი აანალიზებს და აფასებს მის მიერ გაწეულ სამუშაოს, მიღწეულ შედეგებს		
6	რეფლექსიაში მასწავლებელი აანალიზებს გამოვლენილ ხარვეზებს / დაშვებულ შეცდომებს და გამოაქვს სათანადო დასკვნები, სახავს საკუთარი საქმიანობის გაუმჯობესების გზებს		

კრედიტქულების მინიჭება:

შეფასების მაქსიმალური ქულაა 6. იმისათვის, რომ მასწავლებელმა მიიღოს 0.5 კრედიტქულა, მან უნდა დააგროვოს ქულათა მაქსიმალური რაოდენობა, ანუ 6 ქულა.

მოსწავლის მიერ კონკურსზე/ოლიმპიადაზე/შეჯიბრზე მიღწეული შედეგი არ აისახება მასწავლებლის შეფასებაზე.

7. საზაფხულო სკოლის[2] მოწყობა

ამ აქტივობის ფარგლებში 1 კრედიტქულა მიენიჭება ერთ ან ორ მასწავლებელს, რომლიც ორგანიზებას უწევს და ხელმძღვანელობს საზაფხულო სკოლას.

საზაფხულო სკოლის ხელმძღვანელი მასწავლებელი ვალდებულია, მონაწილეობის მსურველთათვის უზრუნველყოს სკოლის ვებ-გვერდზე, ან სოციალურ ქსელში სკოლის გვერდზე, ან საკუთარ ბლოგზე საზაფხულო სკოლის საქმიანობის შესახებ შემდეგი ინფორმაციის განთავსება:

1. საზაფხულო სკოლის განაცხადი და მიღების/დაშვების პირობები და ვადები;
2. საზაფხულო სკოლის სამუშაო პროგრამა;
3. სკოლის ვებ-გვერდზე აიტვირთება საზაფხული სკოლის მუშაობის ამსახველი ფოტო/ვიდეო მასალა/შესაბამისი ბმული.

[2] ამ აქტივობაში მოიაზრება საზაფხულო ბანაკის მოწყობაც.

მასწავლებლის მიერ შეფასების ჯგუფისთვის წარსადგენი დოკუმენტაცია:

საზაფხულო სკოლის ხელმძღვანელმა მასწავლებელმა e-school-ში, საკუთარ პროფესიულ საქაღალდეში, უნდა განათავსონ შემდეგი დოკუმენტაცია:

1. საზაფხულო სკოლის განაცხადის ბმული და სამუშაო პროგრამა;
2. მშობლისა და მოსწავლის შეფასება;[3]
3. საზაფხულო სკოლის ორგანიზატორი მასწავლებლების რეფლექსიები, სადაც თითოეულს კონკრეტულად ექნება გაწერილი და გამიჯნული მათ მიერ ჩატარებული სამუშაოები და ფუნქცია მოვალეობები;
4. ბმული, რომელზეც ატვირთულია საზაფხულო სკოლის აქტივობების ამსახველი ფოტო-/ვიდეომასალა.

მასწავლებლის შეფასების ჯგუფი განიხილავს: სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულ ინფორმაციას, აფასებს საზაფხულო სკოლის ხელმძღვანელი მასწავლებლის/მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას მათთვის კრედიტქულის მინიჭების შესახებ.

საზაფხულო სკოლის ხელმძღვანელი მასწავლებლის
შეფასების სქემა

შეესაბამება - 1 ქულა; არ შეესაბამება - 0 ქულა.

	კრიტერიუმები	**შეესაბამება**	**არ შეესაბამება**
1	პროგრამაში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული საზაფხულო სკოლის მიზანი/მიზნები და მისი/მათი მიღწევის გზები		

[3] საზაფხულო სკოლის ხელმძღვანელი ვალდებულია, უზრუნველყოს საზაფხულო სკოლაში მონაწილე მოსწავლეებისა და მათი მშობლების გამოკითხვა საზაფხულო სკოლის საქმიანობის შესახებ. გამოკითხვის შედეგები აისახება „საზაფხულო სკოლის ხელმძღვანელი შეფასების ფორმაში“. ამისათვის მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს გამოკითხვის სხვადასხვა ფორმა, მათ შორის, მის მიერ შექმნილი კითხვარი, რომელიც იძლევა მისი შეფასების საშუალებას „საზაფხულო სკოლის ხელმძღვანელი მასწავლებლის შეფასების ფორმაში“ წარმოდგენილი კრიტერიუმების მიხედვით. გამოკითხვის შედეგები აიტვირთება მასწავლებლის პროფესიულ საქაღალდეში.

2	დაგეგმილი აქტივობები და გამოყენებული რესურსები სრულად შეესაბამება და ემსახურება საზაფხულო სკოლის მიზნის/მიზნების მიღწევას		
3	რეფლექსიაში დასაბუთებულია საზაფხულო სკოლის მნიშვნელობა და აქტუალურობა		
4	რეფლექსიაში აღწერილი და გაანალიზებულია როგორც რისკები და საფრთხეები, რომლებსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა საზაფხულო სკოლის მუშაობაზე, ასევე მათი თავიდან აცილების/აღმოფხვრის მიზნით გატარებული ღონისძიებები		
5	რეფლექსიაში მასწავლებელი აღწერს, აანალიზებს და აფასებს მის მიერ გაწეულ სამუშაოს საზაფხულო სკოლის მუშაობაში		
6	რეფლექსიაში მასწავლებელი აანალიზებს მუშაობის დროს გამოვლენილ ხარვეზებს / დაშვებულ შეცდომებს და გამოაქვს სათანადო დასკვნები, სახავს საკუთარი საქმიანობის გაუმჯობესების გზებს		
მშობლისა და მოსწავლის შეფასება			
7	საზაფხულო სკოლის მოწყობის შესახებ ინფორმაცია დროულად ხელმისაწვდომი იყო ყველა დაინტერესებული პირისთვის		
8	საზაფხულო სკოლის საქმიანობა მორგებული იყო მოსწავლეთა ინტერესებზე, საინტერესო და მრავალფეროვანი აქტივობები ხელს უწყობდა მათ მრავალმხრივ განვითარებას		
9	საზაფხულო სკოლაში შექმნილი იყო კეთილგანწყობილი, მეგობრული გარემო		
10	საზაფხულო სკოლით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას დაცული იყო უსაფრთხოების ზომები		

კრედიტქულების მინიჭება:

საზაფხულო სკოლის ხელმძღვანელი მასწავლებლის შეფასების მაქსიმალური ქულაა 10. იმისათვის, რომ მასწავლებელს მიენიჭოს 1 კრედიტქულა, მან უნდა დააგროვოს ქულათა მაქსიმალური რაოდენობა.

8. წლის განმავლობაში საკლუბო მუშაობის წარმართვა

კლუბის კურატორის შეფასება

ამ აქტივობის ფარგლებში 1 კრედიტქულა მიენიჭება მასწავლებელს, რომელიც ერთი სასწავლო წლის გამავლობაში არის კლუბის კურატორი.

კლუბის კურატორი მასწავლებელი ვალდებულია, კლუბის დაარსებისთანავე უზრუნველყოს სკოლის ვებ-გვერდზე, ან სოციალურ ქსელში სკოლის გვერდზე, ან საკუთარ ბლოგზე შემდეგი ინფორმაციის განთავსება:

1. კლუბის სახელწოდება და შესაბამისი ატრიბუტიკა;
2. კლუბის წესდება;
3. კლუბის სამუშაო გეგმა;
4. განაცხადის ფორმა კლუბში გაწევრიანების მსურველთათვის;
5. სასწავლო წლის განმავლობაში სკოლის ვებ-გვერდზე/სოციალურ ქსელში სკოლის გვერდზე/ბლოგზე ეტაპობრივად უნდა აიტვირთოს საკლუბო აქტივობების ამსახველი ფოტო-/ვიდეომასალა ან მიეთითოს შესაბამისი ბმული.

მასწავლებლის მიერ შეფასების ჯგუფისთვის წარსადგენი დოკუმენტაცია:

კლუბის კურატორმა მასწავლებელმა e-school-ში, საკუთარ პროფესიულ საქაღალდეში, უნდა განათავსოს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. კლუბის განაცხადის ბმული;
2. კურატორი მასწავლებლის რეფლექსია;

3. მშობლის და/ან მოსწავლის შეფასება[4];
4. ბმულის მისამართი, რომელზეც ატვირთულია კლუბის მუშაობის / განხორციელებული აქტივობების ამსახველი ფოტო-/ვიდეომასალა.

მასწავლებლის შეფასების ჯგუფი განიხილავს სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულ ინფორმაციას, აფასებს კლუბის კურატორის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას მისთვის კრედიტქულის მინიჭების შესახებ.

კლუბის კურატორის შეფასების სქემა

შეესაბამება - 1 ქულა; არ შეესაბამება - 0 ქულა.

N	კრიტერიუმები	შეესაბამება	არ შეესაბამება
1	კლუბის მუშაობის გეგმა სრულყოფილად ასახავს განსახორციელებელი აქტივობების თანამიმდევრობას და მათ შესაბამისობას მიზანთან/მიზნებთან.		
2	რეფლექსიაში დასაბუთებულია კლუბის დაარსების იდეა, მისი ფუნქციონირების მნიშვნელობა და აქტუალურობა.		
3	რეფლექსიაში მასწავლებელი აანალიზებს და აფასებს მის მიერ გაწეულ სამუშაოს, წარმოაჩენს, თუ როგორ მოხდა საკლუბო მუშაობით გათვალისწინებული მიზნის/მიზნების მიღწევა.		
4	რეფლექსიაში აღწერილი და გაანალიზებულია როგორც დამაბრკოლებელი ფაქტორები/რისკები, რომლებსაც შეეძლო გავლენა		

[4] კლუბის კურატორი მასწავლებელი ვალდებულია, უზრუნველყოს კლუბში გაწევრიანებული მოსწავლეებისა და, ცალკეულ შემთხვევებში, მათი მშობლების გამოკითხვა საკლუბო საქმიანობის შესახებ. მოსწავლეთა შეფასებების წარმოდგენა აუცილებელია ყველა შემთხვევაში, ხოლო მშობლებისა მხოლოდ მაშინ, თუკი საკლუბო მუშაობის სპეციფიკა მოითხოვს მათ ჩართულობას საქმიანობის რომელიმე ეტაპზე. გამოკითხვის შედეგები აისახება „კლუბის კურატორის შეფასების ფორმაში“. ამისათვის მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს გამოკითხვის სხვადასხვა ფორმა, მათ შორის, კითხვარი/ანკეტა, ფოკუს ჯგუფი, ინტერვიუ და სხვ., რომელსაც შემდეგ გასაცნობად გადასცემს მასწავლებლის შეფასების ჯგუფს. გამოკითხვის შედეგები უნდა იძლეოდეს კურატორი მასწავლებლის საქმიანობის შეფასების საშუალებას „კლუბის კურატორის შეფასების სქემაში“ წარმოდგენილი კრიტერიუმების მიხედვით.

	მოეხდინა კლუბის საქმიანობაზე, ასევე მათი თავიდან აცილების/აღმოფხვრის მიზნით გატარებული ღონისძიებები.		
5	რეფლექსიაში მასწავლებელი აანალიზებს გამოვლენილ ხარვეზებს / დაშვებულ შეცდომებს და გამოაქვს სათანადო დასკვნები, სახავს საკუთარი საქმიანობის გაუმჯობესების გზებს.		
	მშობლისა და მოსწავლის შეფასება		
6	კლუბის შესახებ ინფორმაცია დროულად ხელმისაწვდომი იყო ყველა დაინტერესებული პირისთვის.		
7	კურატორი მასწავლებელი მოსწავლეებს ეხმარებოდა ინიციატივებისა და იდეების რეალიზებაში.		
8	კურატორი მასწავლებელი ეხმარებოდა მოსწავლეებს საინტერესო და მრავალფეროვანი აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში.		
9	კლუბში შექმნილი იყო კეთილგანწყობილი სამუშაო გარემო, მუშაობა ეფუძნებოდა ურთიერთთანამშრომლობისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპებს.		
10	საკლუბო მუშაობის დროს დაცული იყო უსაფრთხოების ზომები.		

კრედიტქულების მინიჭება:

შეფასების მაქსიმალური ქულაა 10. იმისათვის, რომ კურატორმა მასწავლებელმა მიიღოს 1 კრედიტქულა, მან უნდა დააგროვოს ქულათა მაქსიმალური რაოდენობა.

9. სემესტრის განმავლობაში საწრეო მუშაობის (მათ შორის სპორტული და სახელოვნებო) წარმართვა

0,5 კრედიტქულა მიენიჭება მასწავლებელს, რომელიც ერთი სემესტრის გამავლობაში უძღვება სასკოლო წრეს.

წრის ხელმძღვანელი მასწავლებელი ვალდებულია, წრეში გაერთიანების მსურველთათვის უზრუნველყოს სკოლის ვებ-გვერდზე, ან სოციალურ ქსელში სკოლის გვერდზე, ან საკუთარ ბლოგზე წრის საქმიანობის შესახებ შემდეგი ინფორმაციის განთავსება:

1. წრის დასახელება და მოკლე დახასიათება;
2. საწრეო მუშაობის პროგრამა, საწრეო მუშაობის ხანგრძლივობა და შეხვედრების განრიგი;
3. სასწავლო წლის განმავლობაში სკოლის ვებ-გვერდზე, ან სოციალურ ქსელში სკოლის გვერდზე, ან პერსონალურ ბლოგზე ეტაპობრივად აიტვირთება წრის მუშაობის ამსახველი ფოტო-/ვიდეომასალა ან მიეთითება შესაბამისი ბმული.

წრის ხელმძღვანელის მიერ შეფასების ჯგუფისთვის წარსადგენი დოკუმენტაცია:

1. საწრეო მუშაობის რეფლექსია;
2. მშობლისა და მოსწავლის შეფასება;[5]
3. ბმულის მისამართი, რომელზეც ატვირთულია წრის მუშაობის / განხორციელებული აქტივობების ამსახველი ფოტო-/ვიდეო მასალა.

მასწავლებლის შეფასების ჯგუფი განიხილავს: სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულ ინფორმაციას, აფასებს წრის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას მისთვის კრედიტქულის მინიჭების შესახებ.

წრის ხელმძღვანელის შეფასების სქემა

შეესაბამება - 1 ქულა; არ შეესაბამება - 0 ქულა.

	კრიტერიუმები	**შეესაბამება**	**არ შეესაბამება**

[5] წრის ხელმძღვანელი მასწავლებელი ვალდებულია, უზრუნველყოს წრეში გაერთიანებული მოსწავლეებისა და მათი მშობლების გამოკითხვა წრის მუშაობის შესახებ. ამისათვის მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს გამოკითხვის სხვადასხვა ფორმა, კითხვარი/ანკეტა, ფოკუს ჯგუფი, ინტერვიუ და სხვ., რომელსაც შემდეგ გასაცნობად გადასცემს მასწავლებლის შეფასების ჯგუფს. გამოკითხვის შედეგები უნდა იძლეოდეს მასწავლებლის საქმიანობის შეფასების საშუალებას „წრის ხელმძღვანელის შეფასების ფორმაში“ წარმოდგენილი კრიტერიუმების მიხედვით.

1	პროგრამაში მკაფიოდ არის გამოკვეთილი წრის მუშაობის პროფილი, მისი მიზანი, სრულყოფილად არის წარმოდგენილი თემების/საკითხების ჩამონათვალი.		
2	გამოყენებული რესურსები შეესაბამება და ემსახურება წრის მუშაობის მიზნის მიღწევას.		
3	რეფლექსიაში დასაბუთებულია წრის ფუნქციონირების მნიშვნელობა და აქტუალურობა.		
4	რეფლექსიაში მასწავლებელი აანალიზებს და აფასებს მის მიერ გაწეულ სამუშაოს, საწრეო მუშაობის შედეგებს.		
5	რეფლექსიაში მასწავლებელი აანალიზებს გამოვლენილ ხარვეზებს / დაშვებულ შეცდომებს და გამოაქვს სათანადო დასკვნები, სახავს საკუთარი საქმიანობის გაუმჯობესების გზებს.		
მშობლისა და მოსწავლის შეფასება			
6	წრის შესახებ ინფორმაცია დროულად ხელმისაწვდომი იყო ყველა დაინტერესებული პირისთვის.		
7	წრის საქმიანობა, დამუშავებული საკითხები/თემები მორგებული იყო მოსწავლეთა ინტერესებზე.		
8	განხილული საკითხები/დამუშავებული თემები მოსწავლეებს ეხმარებოდა ცოდნის გაღრმავებაში.		
9	განხორციელებული აქტივობები საინტერესო და მრავალფეროვანი იყო მოსწავლეებისთვის.		
10	შექმნილი იყო კეთილგანწყობილი გარემო.		

კრედიტქულების მინიჭება:

შეფასების მაქსიმალური ქულაა 10. იმისათვის, რომ წრის ხელმძღვანელმა მასწავლებელმა მოიპოვოს 0.5 კრედიტქულა, მან უნდა დააგროვოს ქულათა მაქსიმალური რაოდენობა.

10. კოლეგებთან სამუშაო შეხვედრების ორგანიზება და მათში მონაწილეობა

სამუშაო შეხვედრების ორგანიზატორი მასწავლებელი

ამ აქტივობის ფარგლებში 1 კრედიტქულა მიენიჭება მასწავლებელს, რომელიც ორგანიზებას უწევს და უძღვება მინიმუმ 3 სამუშაო შეხვედრას.

სამუშაო შეხვედრებში მონაწილე მასწავლებელი

მონაწილე მასწავლებელს მიენიჭება 0.5 კრედიტქულა იმ შემთხვევაში, თუ ის დაესწრება და მონაწილეობას მიიღებს მინიმუმ 3 სამუშაო შეხვედრაში. ერთი მიზნით ორგანიზებული სამუშაო შეხვედრის ან შეხვედრების ციკლის დასრულების შემდეგ მონაწილე მასწავლებელი ვალდებულია, დანერგოს მიღებული ცოდნა/გამოცდილება საკუთარ პრაქტიკაში, რის საფუძველზეც წერს ერთიან რეფლექსიას.

ორგანიზატორი მასწავლებლის მიერ შეფასების ჯგუფისთვის წარსადგენი დოკუმენტაცია:

1. 3 სამუშაო შეხვედრის გეგმა (მიზნისა და თემატიკის/საკითხების მითითებით);
2. ერთი მიზნით ორგანიზებული შეხვედრის ან შეხვედრების ციკლის რეფლექსია;
3. მონაწილე მასწავლებელთა უკუკავშირი (მინი-გამოკითხვის ან მინი-ტესტირების შედეგები), რომელშიც ჩანს, რომ შეხვედრები იყო ეფექტიანი;
4. დასწრების ფურცელი თითოეული შეხვედრისათვის, ჩატარების თარიღის/დროისა და მონაწილეთა საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით.

მონაწილე მასწავლებლის მიერ შეფასების ჯგუფისთვის წარსადგენი წარსადგენი დოკუმენტაცია:

1. გაკვეთილის გეგმა/გეგმები, რომელშიც წარმოჩენილია მის მიერ სამუშაო შეხვედრებზე შეძენილი ცოდნის/გამოცდილების გამოყენება პრაქტიკაში და/ან პროდუქტი (მაგ., შეფასების ინსტრუმენტი, სასწავლო რესურსი და ა.შ.), რომელიც შექმნა ამ სამუშაო შეხვედრებზე შეძენელი ცოდნის გამოყენებით.

2. მასწავლებლის რეფლექსია.

მასწავლებლის შეფასების ჯგუფი განიხილავს და აფასებს სამუშაო შეხვედრის/შეხვედრების ორგანიზატორი და მონაწილე მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას მათთვის კრედიტქულის მინიჭების შესახებ.

მასწავლებლებთან სამუშაო შეხვედრების ორგანიზატორი მასწავლებლის შეფასების სქემა

N	კრიტერიუმები	1	2	3	4
1	**შეხვედრების მიზნის განსაზღვრა**	თითოეული შეხვედრის/შეხვედრების ციკლის მიზანი ბუნდოვნად ან არ არის ჩამოყალიბებული; შეხვედრის/შეხვედრების აქტუალურობა არ არის დასაბუთებული.	თითოეული შეხვედრის/შეხვედრების ციკლის მიზანი არასრულყოფილად არის ჩამოყალიბებული; მიზნის აქტუალურობა არ არის დასაბუთებული.	თითოეული შეხვედრის/შეხვედრების ციკლის მიზანი განსაზღვრულია, თუმცა შეხვედრის/შეხვედრების აქტუალურობა საკმარისად არ არის დასაბუთებული.	თითოეული შეხვედრის/შეხვედრების ციკლის მიზანი მკაფიოდ არის განსაზღვრული; შეხვედრის/შეხვედრების აქტუალურობა სრულიად ლოგიკურად არის დასაბუთებული.
2	**შეხვედრებზე განსახილველი საკითხების განსაზღვრა და მათი მიზანთან შესაბამისობა**	თითოეულ შეხვედრაზე/ერთ ციკლში გაერთიანებულ შეხვედრებზე განსახილველი საკითხები არ შეესაბამება მიზანს; ისინი ბუნდოვნად ან საერთოდ არაა განსაზღვრული.	თითოეულ შეხვედრაზე/ერთ ციკლში გაერთიანებულ შეხვედრებზე განსახილველი საკითხების გასაზღვრულია, მაგრამ მეტწილად მიზანთან შეუსაბამოა. **ან**	თითოეულ შეხვედრაზე/ერთ ციკლში გაერთიანებულ შეხვედრებზე განსახილველი საკითხების უმრავლესობა განსაზღვრულია და შეესაბამება შეხვედრის/შეხვედრების მიზანს; თუმცა, მიზნისა და საკითხების შესაბამისობა	თითოეულ შეხვედრაზე/ერთ ციკლში გაერთიანებულ შეხვედრებზე განსახილველი საკითხები მკაფიოდაა განსაზღვრული და სრულად შეესაბამება შეხვედრის/შეხვედრების მიზანს; მიზნისა და საკითხების შესაბამისობა გამყარებულია შესაბამისი მაგალითებითა და არგუმენტებით.

			თითოეულ შეხვედრაზე/ერთი ციკლში გაერთიანებულ შეხვედრებზე განსახილველი საკითხების ნაწილი გასაზღვრულია და მეტნაკლებას შეესაბამება მიზანს	საკმარისად არ არის დასაბუთებული.	
3	**შეხვედრების ეფექტიანობა**	შეხვედრებში მონაწილე მასწავლებლების შეფასების შედეგები და რეფლექსიები ადასტურებს, რომ შეხვედრები არ იყო ეფექტიანი; წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან ჩანს, რომ მიზანი არ არის მიღწეული.	შეხვედრებში მონაწილე მასწავლებლების შეფასების შედეგები და რეფლექსიები ადასტურებს, რომ შეხვედრები მხოლოდ ნაწილობრივ იყო ეფექტიანი; წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან ჩანს, რომ მიზანი ნაწილობრივ არის მიღწეული.	შეხვედრებში მონაწილე მასწავლებლების უმეტესობის შეფასების შედეგები და რეფლექსიები ადასტურებს შეხვედრების ეფექტიანობას; წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან ჩანს, რომ მიზანი უმეტესად მიღწეულია.	შეხვედრებში მონაწილე ყველა მასწავლებლის შეფასების შედეგები და რეფლექსიები ადასტურებს შეხვედრების ეფექტიანობას; წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან ჩანს, რომ მიზანი მიღწეულია.
4	**შეხვედრის /შეხვედრების რეფლექსია**	შეხვედრის/ერთ ციკლში გაერთიანებული შეხვედრების რეფლექსია არ პასუხობს კითხვების უმეტესობას ან ზერელეა.	შეხვედრის/ერთ ციკლში გაერთიანებული შეხვედრების რეფლექსიის თითქმის ყველა კითხვაზე გვხვდება პასუხები, თუმცა პასუხები ზოგადი და არაარგუმენტირებულია.	შეხვედრის/ერთ ციკლში გაერთიანებული შეხვედრების რეფლექსიის ყველა კითხვაზე გაცემულია არგუმენტირებული პასუხი, თუმცა ზოგიერთ კითხვაზე პასუხი ზოგადია და არ არის მოყვანილი კონკრეტული მაგალითები. **ან** კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით და არგუმენტირებულად გაცემულია რეფლექსიის	შეხვედრის/ერთ ციკლში გაერთიანებული შეხვედრების რეფლექსიაში სრულყოფილად, კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით და არგუმენტირებულად არის გაცემული პასუხები კითხვებზე: • შეხვედრის/შეხვედრების შედეგად მოხდა თუ არა დასახული მიზნების მიღწევა? • იქნა თუ არა ამომწურავად განხილული ყველა საკითხი? თუ არა, რატომ?

				უმრავლეს კითხვაზე პასუხები	• რა იყოს ჩატარებული შეხვედრის/შეხვედრების ძლიერი მხარე? • რა საჭიროებს გაუმჯობესებას და როგორ? • რას გავითვალისწინებ მომავალში მსგავს პროექტზე მუშაობისას?

სამუშაო შეხვედრების ორგანიზატორი მასწავლებლისთვის კრედიტქულის მინიჭება:

სამუშაო შეხვედრების ორგანიზატორი მასწავლებლის შეფასების ჯამური ქულაა 16. მასწავლებელს მიენიჭება 1 კრედიტქულა, თუ ის დააგროვებს ქულათა ჯამური რაოდენობის მინიმუმ 75%-ს, ანუ მინიმუმ 12 ქულას.

სამუშაო შეხვედრების მონაწილე მასწავლებლის
შეფასების სქემა

	კრიტერიუმი	**1**	**2**	**3**	**4**
1	**გაკვეთილის გეგმის/გეგმების/ სასწავლო აქტივობების და/ან მასწავლებლის მიერ შექმნილი პროდუქტის შესაბამისობა სამუშაო შეხვედრების თემატიკასთან**	გაკვეთილის გეგმაში/გეგმებში /სასწავლო აქტივობებში და/ან მასწავლებლის მიერ შექმნილ პროდუქტში არაადეკვატურად ან საერთოდ არ არის ასახული სამუშაო შეხვედრების თემატიკა და განხილული საკითხები. არ ჩანს, რომ მასწავლებელი შეეცადა, პრაქტიკაში გადაეტანა სამუშაო	გაკვეთილის გეგმაში/გეგმებში /სასწავლო აქტივობებში და/ან მასწავლებლის მიერ შექმნილ პროდუქტში ნაწილობრივ, სუსტად არის ასახული სამუშაო შეხვედრების თემატიკა და განხილული საკითხები. ჩანს, რომ მასწავლებელი შეეცადა, გადაეტანა პრაქტიკაში სამუშაო შეხვედრების შედეგად შეძენილი	გაკვეთილის გეგმაში/გეგმებში/ სასწავლო აქტივობებში და/ან მასწავლებლის მიერ შექმნილ პროდუქტში ასახულია სამუშაო შეხვედრების თემატიკა და განხილული საკითხები. ჩანს, რომ მასწავლებელი შეეცადა, გადაეტანა პრაქტიკაში სამუშაო შეხვედრების შედეგად	გაკვეთილის გეგმაში/გეგმებში /სასწავლო აქტივობებში და/ან მასწავლებლის მიერ შექმნილ პროდუქტში ადეკვატურად არის ასახული სამუშაო შეხვედრების თემატიკა და განხილული საკითხები. ჩანს, რომ მასწავლებელმა გააზრებულად გადაიტანა პრაქტიკაში სამუშაო შეხვედრების შედეგად შეძენილი ცოდნა და გამოცდილება.

		შეხვედრების შედეგად შეძენილი ცოდნა/გამოცდილება.	ცოდნა/გამოცდილება, თუმცა სპონტანურად და მექანიკურად.	შეძენილი ცოდნა და გამოცდილება.	
2	**რეფლექსია**	რეფლექსია არ პასუხობს კითხვების უმეტესობას ან ზერელეა.	რეფლექსიის თითქმის ყველა კითხვაზე გვხვდება პასუხები, თუმცა პასუხები ზოგადი და არაარგუმენტირებულია.	რეფლექსიის ყველა კითხვაზე არის გაცემული არგუმენტირებული პასუხი, თუმცა ზოგიერთ კითხვაზე პასუხი ზოგადია და არ არის მოყვანილი კონკრეტული მაგალითები. **ან** კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით და არგუმენტირებულად არის გაცემული პასუხები რეფლექსიის კითხვების უმრავლესობაზე.	სრულყოფილად, კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით და არგუმენტირებულად არის გაცემული პასუხები კითხვებზე: • რა თემას/თემებს ეხებოდა შეხვედრა/შეხვედრები? • რამდენად აქტუალური იყო შეხვედრისთვის /შეხვედრებისთვის შერჩეული თემა/თემები? • რა იყო თქვენთვის მნიშვნელოვანი და ახალი? • შეხვედრებში მონაწილეობამ რა შემატა თქვენს გამოცდილებას? • როგორ გამოიყენეთ შეძენილ ცოდნასა და ახალ უნარებს პედაგოგიურ პრაქტიკაში?

სამუშაო შეხვედრების მონაწილე მასწავლებლისთვის კრედიტქულების მინიჭება:

სამუშაო შეხვედრის/შეხვედრების მონაწილე მასწავლებლის შეფასების ჯამური ქულაა 8. მასწავლებელი მიიღებს 0.5 კრედიტქულას იმ შემთხვევაში, თუ:

- ის დააკმაყოფილებს სამუშაო შეხვედრების მონაწილე მასწავლებლის შეფასებაში წარმოდგენილ ორივე კრიტერიუმს და ჯამში მოიპოვებს არანაკლებ 6 ქულისა;
- დაესწრება და მონაწილეობას მიიღებს მინიმუმ 3 სამუშაო შეხვედრაში (შესაძლებელია ეს იყოს ერთი მიზნით /ერთ თემაზე ჩატარებული შეხვედრების ციკლი).

11. პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა

მასწავლებლის მიერ შეფასების ჯგუფისთვის წარსადგენი წარსადგენი დოკუმენტაცია:

1. კვლევის ანგარიში;
2. რეფლექსია კვლევის შედეგების გაზიარების შესახებ.

მასწავლებლის შეფასების ჯგუფი განიხილავს და აფასებს მასწავლებლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას მისთვის კრედიტქულების მინიჭების შესახებ

მასწავლებელი დადებითად არ შეფასდება შემდეგ შემთხვევებში:

- თუ ავტორი კვლევის პროცესში არ იცავს კვლევის ეთიკის ნორმებს;
- თუ არ არის განხორციელებული ინტერვენცია.

ინფორმაციას დადებითად შეფასებული კვლევის შესახებ სკოლა განთავსებს სკოლის ვებ-გვერდზე.

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიშის შეფასების ფორმა

N	**კრიტერიუმები**	1	2	3	4
1.	**საკვლევი საკითხის განსაზღვრა და მისი აქტუალურობის დასაბუთება**	საკვლევი პრობლემა/საკითხი არ არის, ან ბუნდოვნად არის იდენტიფიცირებული. არ არის დასაბუთებული საკვლევი საკითხის აქტუალურობა საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკისთვის. არ არის აღწერილი სარგებელი, რაც შეიძლება აღნიშნული	საკვლევი პრობლემა/საკითხი იდენტიფიცირებულია, თუმცა ბუნდოვნად და არადამაჯერებლად არის დასაბუთებული საკვლევი საკითხის აქტუალურობა საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკისთვის. ზერელედ და ზოგადად არის აღწერილი	საკვლევი პრობლემა/საკითხი გამომდინარეობს საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში გამოვლენილი საჭიროებიდან, თუმცა მისი აქტუალურობის დასაბუთებას აკლია დამაჯერებლობა. აღწერილია სარგებელი, რაც შეიძლება აღნიშნული კვლევისგან მიიღონ მოსწავლეებმა,	ანგარიშში ნათლად და დამაჯერებლად არის დასაბუთებული, რომ საკვლევი პრობლემა/საკითხი გამომდინარეობს საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში გამოვლენილი საჭიროებიდან. ამომწურავად არის აღწერილი სარგებელი, რაც შეიძლება აღნიშნული კვლევისგან მიიღონ

		კვლევისგან მიიღონ მოსწავლეებმა, მასწავლებელმა და კოლეგებმა.	სარგებელი, რაც შეიძლება აღნიშნული კვლევისგან მიიღონ მოსწავლეებმა, მასწავლებელმა და კოლეგებმა.	მასწავლებელმა და კოლეგებმა. **ან** საკვლევი პრობლემა/საკითხი გამომდინარეს საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში გამოვლენილი საჭიროებიდან, მისი აქტუალურობა დასაბუთებულია. ზოგადად არის აღწერილი სარგებელი, რაც შეიძლება აღნიშნული კვლევისგან მიიღონ მოსწავლეებმა, მასწავლებელმა და კოლეგებმა.	მოსწავლეებმა, თავად მასწავლებელმა და კოლეგებმა.
2.	**კვლევის მიზანი და მისი შესაბამისობა საკვლევ პრობლემატიკასთან**	კვლევის მიზანი/მიზნები არ არის, ან ბუნდოვნად და არაადეკვატურად არის ჩამოყალიბებული და არ შეესაბამება საკვლევ პრობლემატიკას.	კვლევის მიზანი/მიზნები ზოგადად არის ჩამოყალიბებული და ნაკლებად შეესაბამება საკვლევ პრობლემატიკას.	კვლევის მიზანი/მიზნები კარგად არის ჩამოყალიბებული და ძირითადად შეესაბამება საკვლევ პრობლემატიკას.	კვლევის მიზანი/მიზნები სრულყოფილად და ნათლად არის ჩამოყალიბებული და სრულად შეესაბამება საკვლევ პრობლემატიკას.
3.	**საკვლევი კითხვების შესაბამისობა კვლევის მიზანთან**	საკვლევი კითხვები არ არის, ან არაადეკვატურად არის ჩამოყალიბებული და ვერ უზრუნველყოფს კვლევის მიზნის მიღწევას.	საკვლევი კითხვები ბუნდოვნად/არასრულყოფილად არის ჩამოყალიბებული და ნაწილობრივ უზრუნველყოფს კვლევის მიზნის მიღწევას.	საკვლევი კითხვები ჩამოყალიბებულია და მათზე პასუხის გაცემა ძირითადად უზრუნველყოფს კვლევის მიზნის მიღწევას.	საკვლევი კითხვები ნათლად და მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და მათზე პასუხის გაცემა სრულად უზრუნველყოფს კვლევის მიზნის მიღწევას.
4.	**საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერა-ტურის წარმოჩენა; საკითხის განხილვის სისრულე; წყაროების სანდოობა.**	წარმოდგენილი მონაცემები და ლიტერატურა არასაკმარისია კვლევის წარმოებისთვის. ლიტერატურა არ არის	წარმოდგენილი მონაცემები და ლიტერატურა მწირია კვლევის წარმოებისთვის. განხილული ლიტერატურა	წარმოდგენილი მონაცემები და ლიტერატურა საკმარისია კვლევის წარმოებისთვის. განხილული ლიტერატურა არის საკვლევი საკითხის რელევანტური, ლიტერატურა	წარმოდგენილი მონაცემები და ლიტერატურა ამომწურავია კვლევის საწარმოებლად. განხილული ლიტერატურა არის ადეკვატური, თანამედროვე და ავტორიტეტული. ლიტერატურა

		საკვლევი საკითხის რელევანტური. წამოდგენილი ლიტერატურა მხოლოდ აღწერილია ზედაპი-რულად. ბიბლიოგრაფია არ არის დამოწმებული.	ნაწილობრივ არის საკვლევი საკითხის რელევანტური. წარმოდგენილი ლიტერატურა არ არის გაანალიზებული. გამოყენებული ლიტერატურა არ არის დამოწმებული, ან დამოწმებულია ბიბლიოგრაფიის დამოწმების წესების დაცვის გარეშე.	გაანალიზებულია. მითითებულია გამოყენებული ლიტერატურა, მაგრამ ბიბლიოგრაფიის დამოწმების წესების არასრული დაცვით. **ან** წარმოდგენილი მონაცემები და ლიტერატურა საკმარისია კვლევისთვის. განხილული ლიტერატურა არის საკვლევი საკითხის რელევანტური, თუმცა არასრულად არის გაანალიზებული. გამოყენებული ლიტერატურა მითითებულია ბიბლიოგრაფიის დამოწმების წესების დაცვით.	გაანალიზებულია და მსჯელობა საკითხის გარშემო ლოგიკურია. გამოყენებული ლიტერატურა მითითებულია ბიბლიოგრაფიის დამოწმების წესების სრული დაცვით.
5.	**მონაცემთა შეგროვების მეთოდები**	გამოყენებული კვლევის მეთოდები არარელევანტურია და არ უწყობს ხელს საკვლევ კითხვებზე პასუხის გაცემას და კვლევის მიზნის მიღწევას	კვლევისთვის შერჩეული მონაცემთა შეგროვების მეთოდები და პროცესი ზოგადად და არასრულყოფილად არის აღწერილი. არ არის, ან არასაკმარისად და არადამაჯერებლად არის დასაბუთებული გამოყენებული კვლევის მეთოდების ადეკვატურობა. გამოყენებული კვლევის მეთოდები არასაკმარისია მიზნის მისაღწევად და ისინი ვერ უზრუნველყოფენ ყველა	კვლევის ანგარიშში აღწერილია კვლევისთვის შერჩეულ მონაცემთა შეგროვების მეთოდები და პროცესი, თუმცა, ზოგადად. გამოყენებული კვლევის მეთოდები შეესაბამება კვლევის საჭიროებებს, კვლევის მიზანს და ძირითადად პასუხობს საკვლევ კითხვებს.	კვლევის ანგარიშში ლაკონურად, ლოგიკურად და თანმიმდევრულად არის აღწერილი კვლევისთვის შერჩეული მონაცემთა შეგროვების მეთოდები და პროცესი. დამაჯერებლად არის დასაბუთებული კვლევისთვის შერჩეული მეთოდების ადეკვატურობა. გამოყენებული კვლევის მეთოდები სრულად შეესაბამება კვლევის საჭიროებებს, მიზანს და შესაძლებლობას იძლევა, სრულად გაეცეს პასუხი ყველა საკვლევ კითხვას.

			საკვლევ კითხვაზე პასუხის გაცემას.		
6.	**მონაცემთა ანალიზი**	მონაცემთა ანალიზი კვლევის ანგარიშში საერთოდ არ არის წარმოდგენილი, ან სრულიად არარელევანტურია. დასკვნები ან საერთოდ არ არის გამოტანილი, ან არ ეფუძნება შეგროვილი მონაცემების ანალიზის შედეგებს.	კვლევის ანგარიშში ზერელედ არის წარმოდგენილი მონაცემთა ანალიზი. გამოტანილი დასკვნები ზოგადია, არასრულყოფილია და უმეტეს შემთხვევაში არ ეფუძნება შეგროვილი მონაცემების ანალიზის შედეგებს.	კვლევის ანგარიშში ძირითადად სწორად არის წარმოდგენილი მონაცემთა ანალიზი. ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით გამოტანილია შესაბამისი დასკვნები, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, დასკვნები ზოგადია.	კვლევის ანგარიშში ნათლად და თანმიმდევრულად არის წარმოდგენილი მონაცემთა ანალიზი. ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით გამოტანილია შესაბამისი დასკვნები.
7.	**ინტერვენცია/ჩარევა**	დაგეგმილი და განხორციელებული ინტერვენციები ძალიან მწირი და არარელევანტურია. არ ეყრდნობა მონაცემთა ანალიზის შედეგებს. არ არის შეფასებული განხორციელებული ინტერვენციების ეფექტიანობა. რეკომენდაციები საერთოდ არ გვხვდება, ან ისინი არის ზერელე, ზოგადი და შეუსაბამო.	დაგეგმილი და განხორციელებული ინტერვენციები ნაკლებად ეყრდნობა მონაცემთა ანალიზის შედეგებს და ძალიან მწირია სასურველი შედეგის მისაღებად. ინტერვენციების ეფექტიანობა ან საერთოდ არ არის, ან ზერელედ არის შეფასებული. შემუშავებული რეკომენდაციებიც უმეტესად ზერელე და ზოგადია.	დაგეგმილი და განხორციელებულია საკმარისი რაოდენობის ინტერვენცია, რომლებიც ეყრდნობა მონაცემთა ანალიზის შედეგებს; შეფასებულია ინტერვენციების ეფექტიანობა და მათი შედეგების ანალიზის საფუძველზე შემუშავებულია რეკომენდაციები, თუმცა ზოგიერთი მათგანი ზოგადია.	დაგეგმილი და განხორციელებულია მრავალფეროვანი ინტერვენციები, რომლებიც სრულად ეყრდნობა მონაცემთა ანალიზის შედეგებს; შეფასებულია ინტერვენციების ეფექტიანობა და მათი შედეგების ანალიზის საფუძველზე შემუშავებულია რელევანტური და საფუძვლიანად დასაბუთებული რეკომენდაციები.
8.	**არგუმენტაციისა და დასკვნის ლოგიკურობა და კავშირი ძირითად საკვლევ საკითხთან**	კვლევის ანგარიშში საერთოდ არ არის, ან მოყვანილია შეუსაბამო არგუმენტები და დასკვნები. დასკვნები არ არის დაკავშირებული	კვლევის ანგარიშში მოყვანილია არგუმენტები და დასკვნები, თუმცა მათი ნაწილი არ არის შესაბამისი, დამაჯერებელი და	კვლევის ანგარიშის ყველა ნაწილს აქვს არგუმენტაცია და დასკვნები, რომლებიც დაკავშირებულია ძირითად საკვლევ საკითხთან, თუმცა არგუმენტებს აკლია	კვლევის ანგარიშის ყველა ნაწილს აქვს ამომწურავი, დამაჯერებელი და თანმიმდევრული არგუმენტაცია და დასკვნები, რომლებიც დაკავშირებულია ძირითად საკვ-

		ძირითად საკვლევ საკითხთან.	თანმიმდევრული. დასკვნები ნაწილობრივ დაკავშირებულია ძირითად საკვლევ საკითხთან.	დამაჯერებლობა, ან არასრულყოფილია.	ლევ საკითხთან. კომპონენტებს შორის კავშირი ლოგიკურია.
9.	**კვლევის ანგარიშის სტრუქტურა**	კვლევის ანგარიშის სტრუქტურა სრულიად დარღვეულია - არ არის დაცული კვლევის ანგარიშის ფორმატი. კვლევის შედეგები წარმოდგენილია არაეფექტურად, რაც ნაშრომის აღქმას შეუძლებელს ხდის.	კვლევის ანგარიშის სტრუქტურა უმეტესად დარღვეულია - არასათანადოდ არის დაცული ანგარიშის ფორმატი. კვლევის შედეგები წარმოდგენილია არათვალსაჩინოდ და არაეფექტურად. რაც ნაშრომის აღქმას ამნელებს.	ნაშრომი კარგადაა სტრუქტურირებული - დაცულია კვლევის ანგარიშის ფორმატი. კვლევის შედეგები წარმოდგენილია ნაკლებად თვალსაჩინოდ და/ან ინფორმაციის მოწოდების ფორმა შედარებით ერთფეროვანია.	კვლევის ანგარიში სანიმუშოდაა სტრუქტურირებული - სრულად და თანმიმდევრულად არის დაცული კვლევის ანგარიშის ფორმატი. კვლევის შედეგები თვალისაჩინოდ არის წარმოდგენილი ტექსტების, დიაგრამებისა და ცხრილების სახით, მათ შორის თანაფარდობა დაცულია, რაც ანგარიშს ადვილად აღსაქმელს ხდის.
10.	**კვლევის შედეგების გაზიარება**	კვლევის ანგარიშს ახლავს რეფლექსია, რომელშიც მხოლოდ დასახელებულია და არ არის აღწერილი გზები, რომლებიც გამოიყენა მასწავლებელმა კვლევის შედეგების კოლეგებისთვის გასაზიარებლად.	კვლევის ანგარიშს ახლავს რეფლექსია, რომელშიც მასწავლებელი მხოლოდ აღწერს, რა გზები, რომლებიც გამოიყენა მასწავლებელმა კვლევის შედეგების კოლეგებისთვის გასაზიარებლად.	კვლევის ანგარიშს ახლავს რეფლექსია, რომელშიც მასწავლებელი აღწერს, რა გზები გამოიყენა მასწავლებელმა კვლევის შედეგების კოლეგებისთვის გასაზიარებლად და აანალიზებს მიღებულ უკუკავშირს, მაგრამ ანალიზი ზოგადია.	კვლევის ანგარიშს ახლავს რეფლექსია, რომელშიც მასწავლებელი აღწერს, რა გზები გამოიყენა მასწავლებელმა კვლევის შედეგების კოლეგებისთვის გასაზიარებლად და აანალიზებს მიღებულ უკუკავშირს.

მასწავლებელისთვის კრედიტქულების მინიჭება:

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შეფასების მაქსიმალური ქულაა 40. მასწავლებელს მიენიჭება 2 კრედიტქულა, თუ ის დააგროვებს ქულების ჯამური რაოდენობის 60%-ს და მეტს, ანუ მინიმუმ 24 ქულას.

12.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჭიროებების კვლევა

მასწავლებლის მიერ შეფასების ჯგუფისთვის წარსადგენი დოკუმენტაცია:

1. კვლევის ანგარიში;
2. რეფლექსია კვლევის შედეგების გაზიარების შესახებ.

მასწავლებლის შეფასების ჯგუფი განიხილავს და აფასებს მასწავლებლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას მისთვის კრედიტქულების მინიჭების შესახებ.

მასწავლებელი არ შეფასდება შემდეგ შემთხვევებში:

- თუ ავტორი კვლევის პროცესში არ იცავს კვლევის ეთიკის ნორმებს;
- თუ არ არის განხორციელებული ინტერვენცია.

ინფორმაციას დადებითად შეფასებული კვლევის შედეგებს სკოლა განთავსებს სკოლის ვებ-გვერდზე.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჭიროებების კვლევის შეფასების ფორმა

N	**კრიტერიუმები**	**1**	**2**	**3**	**4**
1.	**საკვლევი საკითხის განსაზღვრა და მისი აქტუალურობის დასაბუთება**	საკვლევი პრობლემა/საკითხი არ არის, ან არარელევანტურად არის იდენტიფიცირებული. არ არის დასაბუთებული საკვლევი საკითხის აქტუალურობა. კვლევის ანგრიშში სკოლის ინტერესები არ არის ასახული, არ არის	საკვლევი პრობლემა/საკითხი იდენტიფიცირებულია, თუმცა ბუნდოვნად, არადამაჯერებლად და ზერელად. ნათლად არ ჩანს, რომ სკოლა მონაწილეობდა პრობლემის იდენტიფიცირებაში. კვლევის ანგარიშში სკოლის	საკვლევი პრობლემა/საკითხი იდენტიფიცირებულია და გამომდინარეობს კონკრეტული სკოლის საჭიროებიდან, თუმცა მისი აქტუალურობის დასაბუთებას აკლია დამაჯერებლობა. ჩანს, რომ სკოლა მონაწილეობდა	საკვლევი პრობლემა/საკითხი ზუსტად არის იდენტიფიცირებული და გამომდინარეობს კონკრეტული სკოლის საჭიროებიდან. მისი აქტუალურობა მკაფიოდ და დამაჯერებლად არის დასაბუთებული. ნათლად

		აღწერილი სარგებელი, რაც შეიძლება აღნიშნული კვლევისგან მიიღონ მოსწავლეებმა, მასწავლებლებმა და სკოლამ.	ინტერესები არასაკმარისადაა ასახული, ზერელედ და ბუნდოვნად არის აღწერილი სარგებელი, რაც შეიძლება აღნიშნული კვლევისგან მიიღონ მოსწავლეებმა, მასწავლებლებმა და სკოლამ.	საკვლევი პრობლემის/საკითხის განსაზღვრაში. აღწერილია სარგებელი, რაც შეიძლება აღნიშნული კვლევისგან მიიღონ მოსწავლეებმა, მასწავლებლებმა და სკოლამ. **ან** საკვლევი პრობლემა/საკითხი იდენტიფიცირებულია და გამომდინარებს კონკრეტული სკოლის საჭიროებიდან, მისი აქტუალურობა დასაბუთებულია. ანგარიშში არ ჩანს, რომ სკოლა მონაწილეობდა საკვლევი პრობლემის/საკითხის განსაზღვრაში. აღწერილია სარგებელი, რაც შეიძლება აღნიშნული კვლევისგან მიიღონ მოსწავლეებმა, მასწავლებლებმა და სკოლამ. **ან** საკვლევი პრობლემა/საკითხი იდენტიფიცირებულია და გამომდინარეობს კონკრეტული სკოლის საჭიროებიდან, მისი აქტუალურობა დასაბუთებულია. ანგარიშში ჩანს, რომ სკოლა მონაწილეობდა საკვლევი	ჩანს, რომ სკოლა მონაწილეობდა საკვლევი პრობლემის/საკითხის განსაზღვრაში. ამომწურავად არის აღწერილი სარგებელი, რაც შეიძლება აღნიშნული კვლევისგან მიიღონ მოსწავლეებმა, მასწავლებლებმა და სკოლამ.

				პრობლემის/საკითხის განსაზღვრაში. ზერელედ და ზოგადად არის აღწერილი სარგებელი, რაც შეიძლება აღნიშნული კვლევისგან მიიღონ მოსწავლეებმა, მასწავლებლებმა და სკოლამ.	
2.	**კვლევის მიზანი და მისი შესაბამისობა საკვლევ პრობლემატიკასთან**	კვლევის მიზანი/მიზნები საერთოდ არ არის, ან არაადეკვატურად არის ჩამოყალიბებული და არ შეესაბამება საკვლევ პრობლემატიკას.	კვლევის მიზანი/მიზნები ბუნდოვნად არის ჩამოყალიბებული და ნაკლებად შეესაბამება საკვლევ პრობლემატიკას.	კვლევის მიზანი/მიზნები კარგად არის ჩამოყალიბებული და შეესაბამება საკვლევ პრობლემატიკას.	კვლევის მიზანი/მიზნები სრულყოფილად და ნათლად არის ჩამოყალიბებული და სრულად შეესაბამება საკვლევ პრობლემატიკას.
3.	**საკვლევი კითხვების შესაბამისობა კვლევის მიზანთან**	საკვლევი კითხვები საერთოდ არ არის, ან არაადეკვატურად არის ჩამოყალიბებული და ვერ უზრუნველყოფს კვლევის მიზნის მიღწევას.	საკვლევი კითხვები ბუნდოვნად/არასრულყოფილად არის ჩამოყალიბებული და ნაწილობრივ უზრუნველყოფს კვლევის მიზნის მიღწევას.	საკვლევი კითხვები ჩამოყალიბებულია და მათზე პასუხის გაცემა ძირითადად უზრუნველყოფს კვლევის მიზნის მიღწევას	საკვლევი კითხვები ნათლად და მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და მათზე პასუხის გაცემა სრულად უზრუნველყოფს კვლევის მიზნის მიღწევას.
4.	**საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერა-ტურის წარმოჩენა; საკითხის განხილვის სისრულე; წყაროების სანდოობა.**	წარმოდგენილი მონაცემები და ლიტერატურა არასაკმარისია კვლევის წარმოებისთვის. ლიტერატურა არ არის საკვლევი საკითხის რელევანტური. წარმოდგენილი ლიტერატურა მხოლოდ აღწერილია ზედაპირულად. ბიბლიოგრაფია არ არის დამოწმებული.	წარმოდგენილი მონაცემები და ლიტერატურა მწირია კვლევის წარმოებისთვის. განხილული ლიტერატურა ნაწილობრივ არის საკვლევი საკითხის რელევანტური. წარმოდგენილი ლიტერატურა არ არის გაანალიზებული. გამოყენებული ლიტერატურა არ არის დამოწმებული, ან დამოწმებულია ბიბლიოგრაფიის დამოწმების წესების დაცვის გარეშე.	წარმოდგენილი მონაცემები და ლიტერატურა საკმარისია კვლევისთვის. განხილული ლიტერატურა არის საკვლევი საკითხის რელევანტური, წარმოდგენილი ლიტერატურა გაანალიზებულია. მითითებულია გამოყენებული ლიტერატურა, მაგრამ ბიბლიოგრაფიის დამოწმების წესების არასრული დაცვით. **ან**	წარმოდგენილი მონაცემები და ლიტერატურა ამომ-წურავია კვლევის წარმოებისთვის. განხილული ლიტერატურა არის ადეკვატური, თანამედროვე და ავტორიტეტული. წარმოდგენილი ლიტერატურა გაანალიზებულია და მსჯელობა საკითხის გარშემო ლოგიკურია. მითითებულია გამოყენებული

				წარმოდგენილი მონაცემები და ლიტერატურა საკმარისია კვლევისთვის. განხილული ლიტერატურა არის საკვლევი საკითხის რელევანტური, თუმცა არასრულად არის გაანალიზებული. მითითებულია გამოყენებული ლიტერატურა ბიბლიოგრაფიის დამოწმების წესების დაცვით.	ლიტერატურა ბიბლიოგრაფიის დამოწმების წესების სრული დაცვით.
5.	**მონაცემთა შეგროვების მეთოდები**	გამოყენებული კვლევის მეთოდები არარელევანტურია და არ უწყობს ხელს საკვლევ კითხვებზე პასუხის გაცემას და კვლევის მიზნის მიღწევას	კვლევისთვის შერჩეული მონაცემთა შეგროვების მეთოდები და პროცესი ზოგადად და არასრულყოფილად არის აღწერილი. არ არის, ან არასაკმარისად და არადამაჯერებლად არის დასაბუთებული გამოყენებული კვლევის მეთოდების ადეკვატურობა. გამოყენებული კვლევის მეთოდები არასაკმარისია მიზნის მისაღწევად და ისინი ვერ უზრუნველყოფენ ყველა საკვლევ კითხვაზე პასუხის გაცემას.	კვლევის ანგარიშში აღწერილია კვლევისთვის შერჩეული მონაცემთა შეგროვების მეთოდები და პროცესი, თუმცა, ზოგადად. გამოყენებული კვლევის მეთოდები შეესაბამება კვლევის საჭიროებებს, კვლევის მიზანს და ძირითადად პასუხს სცემს საკვლევ კითხვებს.	კვლევის ანგარიშში ლაკონურად, ლოგიკურად და თანმიმდევრულად არის აღწერილი კვლევისთვის შერჩეული მონაცემთა შეგროვების მეთოდები და პროცესი. დამაჯერებლად არის დასაბუთებული კვლევისთვის შერჩეული მეთოდების ადეკვატურობა. გამოყენებული კვლევის მეთოდები სრულად შეესაბამება კვლევის საჭიროებებს, მიზანს და შესაძლებლობას იძლევა, სრულად გაეცეს პასუხი ყველა საკვლევ კითხვას.
6.	**მონაცემთა ანალიზი**	მონაცემთა ანალიზი კვლევის ანგარიშში	კვლევის ანგარიშში ზერელედ არის წარმოდგენილი მონაცემთა ანალიზი.	კვლევის ანგარიშში ძირითადად სწორად არის	კვლევის ანგარიშში ნათლად და თანმიმდევრულად არის

		საერთოდ არ არის წარმოდგენილი, ან სრულიად არარელევანტურია. დასკვნები ან საერთოდ არ არის გამოტანილი, ან არ ეფუძნება შეგროვილი მონაცემების ანალიზის შედეგებს.	დასკვნები ზოგადია, არასრულყოფილია და უმეტეს შემთხვევაში არ ეფუძნება შეგროვილი მონაცემების ანალიზის შედეგებს.	წარმოდგენილი მონაცემთა ანალიზი. ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით გამოტანილია შესაბამისი დასკვნები, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, დასკვნები ზოგადი ხასიათისაა.	წარმოდგენილი მონაცემთა ანალიზი. ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით გამოტანილია შესაბამისი დასკვნები.
7.	**ინტერვენცია /ჩარევა**	დაგეგმილი და განხორციელებული ინტერვენციები ძალიან მწირი და არარელევანტურია. არ ეყრდნობა მონაცემთა ანალიზის შედეგებს. არ არის შეფასებული განხორციელებული ინტერვენციების ეფექტიანობა. რეკომენდაციები ან საერთოდ არ გვხვდება, ან არის ზერელე, ზოგადი და შეუსაბამო.	დაგეგმილი და განხორციელებული ინტერვენციები ნაკლებად ეყრდნობა მონაცემთა ანალიზის შედეგებს და ძალიან მწირია სასურველი შედეგის მისაღებად. ზერელედ არის შეფასებული ინტერვენციების ეფექტიანობა, ან საერთოდ არ არის შეფასებული. შემუშავებული რეკომენდაციებიც უმეტესად ზერელეა და ზოგადი.	დაგეგმილი და განხორციელებულია საკმარისი რაოდენობის ინტერვენციები, რომლებიც ეყრდნობა მონაცემთა ანალიზის შედეგებს; შეფასებულია ინტერვენციების ეფექტიანობა და მათი შედეგების ანალიზის საფუძველზე შემუშავებულია რეკომენდაციები, თუმცა ზოგიერთი მათგანი ზოგადია.	დაგეგმილი და განხორციელებულია მრავალფეროვანი ინტერვენციები, რომლებიც სრულად ეყრდნობა მონაცემთა ანალიზის შედეგებს; შეფასებულია ინტერვენციების ეფექტიანობა და მათი შედეგების ანალიზის საფუძველზე შემუშავებულია რელევანტური და საფუძვლიანად დასაბუთებული რეკომენდაციები.
8.	**არგუმენტაციისა და დასკვნის ლოგიკურობა და კავშირი ძირითად საკვლევ საკითხთან.**	კვლევის ანგარიშში არ არის, ან მოყვანილია შეუსაბამო არგუმენტები და დასკვნები. დასკვნები არ არის დაკავშირებული ძირითად საკვლევ საკითხთან.	კვლევის ანგარიშში მოყვანილია არგუმენტები და დასკვნები, თუმცა მათი ნაწილი არ არის შესაბამისი, დამაჯერებელი და თანმიმდევრული. დასკვნები ნაწილობრივ დაკავშირებულია ძირითად საკვლევ საკითხთან.	კვლევის ანგარიშის ყველა ნაწილს აქვს არგუმენტაცია და დასკვნები, რომლებიც დაკავშირებულია ძირითად საკვლევ საკითხთან, თუმცა არგუმენტებს აკლია დამაჯერებლობა, ან არასრულყოფილია.	კვლევის ანგარიშის ყველა ნაწილს აქვს ამომწურავი, დამაჯერებელი და თანმიმდევრული არგუმენტაცია და დასკვნები, რომლებიც დაკავშირებულია ძირითად საკვლევ საკითხთან.

9.	**კვლევის ანგარიშის სტრუქტურა**	კვლევის ანგრაშის სტრუქტურა სრულიად დარღვეულია - არ არის დაცული კვლევის ანგარიშის ფორმატი. კვლევის შედეგები წარმოდგენილია არაეფექტურად, რაც ნაშრომის აღქმას შეუძლებელს ხდის.	კვლევის ანგარიშის სტრუქტურა უმეტესად დარღვეულია - არასათანადოდ არის დაცული ანგარიშის ფორმატი. კვლევის შედეგები წარმოდგენილია არათვალსაჩინოდ და არაეფექტურად, რაც ნაშრომის აღქმას აძნელებს.	ნაშრომი კარგადაა სტრუქტურირებული - დაცულია კვლევის ანგარიშის ფორმატი. კვლევის შედეგები წარმოდგენილია ნაკლებად თვალსაჩინოდ და/ან ინფორმაციის მიწოდების ფორმა შედარებით ერთფეროვანია.	კვლევის ანგარიში სანიმუშოდაა სტრუქტურირებული - სრულად და თანმიმდევრულად არის დაცული კვლევის ანგარიშის ფორმატი. კვლევის შედეგები თვალისაჩინოდ არის წარმოდგენილი ტექსტების, დიაგრამებისა და ცხრილების სახით, მათ შორის თანაფარდობა დაცულია, რაც ანგარიშს ადვილად აღსაქმელს ხდის.
10.	**კვლევის შედეგების გაზიარება**	კვლევის ანგარიშს ახლავს რეფლექსია, რომელშიც მხოლოდ დასახელებულია და არ არის აღწერილი გზები, რომლებიც გამოიყენა მასწავლებელმა კვლევის შედეგების კოლეგებისთვის გასაზიარებლად.	კვლევის ანგარიშს ახლავს რეფლექსია, რომელშიც მასწავლებელი მხოლოდ აღწერს, რა გზები გამოიყენა მასწავლებელმა კვლევის შედეგების კოლეგებისთვის გასაზიარებლად.	კვლევის ანგარიშს ახლავს რეფლექსია, რომელშიც მასწავლებელი აღწერს, რა გზები გამოიყენა მასწავლებელმა კვლევის შედეგების კოლეგებისთვის გასაზიარებლად და აანალიზებს მიღებულ უკუკავშირს, მაგრამ ანალიზი ზოგადია.	კვლევის ანგარიშს ახლავს რეფლექსია, რომელშიც მასწავლებელი აღწერს, რა გზები გამოიყენა მასწავლებელმა კვლევის შედეგების კოლეგებისთვის გასაზიარებლად და აანალიზებს მიღებულ უკუკავშირს.

მასწავლებლისთვის კრედიტქულების მინიჭება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჭიროებების კვლევის შეფასების მაქსიმალური ქულაა 40. მასწავლებელს მიენიჭება 3 კრედიტქულა, თუ ის დააგროვებს ქულების ჯამური რაოდენობის 60%-ს და მეტს, ანუ მინიმუმ 24 ქულას.

13. საგნისა და საგნობრივი მეთოდიკის ან პროფესიული უნარების ტრენინგების / მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ან/და სხვა დაწესებულების მიერ ორგანიზებული აკრედიტებული/რეგისტრირებული ტრენინგის გავლა

მასწავლებლის მიერ შეფასების ჯგუფისთვის წარსადგენი დოკუმენტაცია:

1. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ან სხვა ორგანიზაციის აკრედიტირებული/რეგისტრირებული ტრენინგის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი/ცნობა.

მასწავლებლის შეფასების ჯგუფი განიხილავს მასწავლებლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას მისთვის კრედიტქულის მინიჭების შესახებ.

მასწავლებლისთვის კრედიტქულების მინიჭება:

მასწავლებელს მიენიჭება 1 კრედიტქულა ყოველი 25-საათიანი (გათვალისწინებულია საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათები) აკრედიტებული/რეგისტრირებული ტრენინგმოდულის წარმატებით გავლისთვის.

14. მასწავლებლის შეფასების ჯგუფის წევრობა (გარდა ფასილიტატორისა)

მასწავლებლის მიერ შეფასების ჯგუფისთვის წარსადგენი დოკუმენტაცია:

1. საგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის ბრძანება მასწავლებლის შეფასების ჯგუფის/ჯგუფების შექმნის შესახებ.

მასწავლებლის შეფასების ჯგუფი აღნიშნული მტკიცებულების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას მასწავლებლისთვის კრედიტქულის მინიჭების შესახებ.

მასწავლებლისთვის კრედიტქულების მინიჭება:

მასწავლებელს ამ საქმიანობისთვის სასწავლო წლის განმავლობაში მიენიჭება 1 კრედიტქულა.

15. ფასილიტატორობა

მასწავლებლის მიერ შეფასების ჯგუფისთვის წარსადგენი დოკუმენტაცია:

1. საგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის ბრძანება მასწავლებლის შეფასების ჯგუფის/ჯგუფების შექმნის შესახებ.

მასწავლებლის შეფასების ჯგუფი აღნიშნული მტკიცებულების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას მასწავლებლისთვის კრედიტქულის მინიჭების შესახებ

მასწავლებლისთვის კრედიტქულების მინიჭება:

მასწავლებელს ერთი სასწავლო წლის განმავლობაში აღნიშნული საქმიანობისთვის მიენიჭება 3 კრედიტქულა[6].

16. სახელმწიფო ენის კურსის გავლა დამადასტურებელი ენის ფლობის დონის სერტიფიკატით

მასწავლებლის მიერ შეფასების ჯგუფისთვის წარსადგენი დოკუმენტაცია:

- ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის მიერ გაცემული შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი,

  ან
- სსიპ მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნილი ცენტრის „არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების“ პროგრამის ფარგლებში გაცემული შესაბამისი დამადასტურებელი სერტიფიკატი,

  ან

[6] 2016-2017 სასწავლო წელს ფასილიტატორს ენიჭება 2 კრედიტქულა

- აკრედიტირებული უნივერსიტეტების მიერ განხორციელებული შესაბამისი კურსის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მასწავლებლის შეფასების ჯგუფი განიხილავს მასწავლებლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას მისთვის კრედიტქულის მინიჭების შესახებ.

მასწავლებლისთვის კრედიტქულების მინიჭება:

სახელმწიფო ენის კურსის გავლა დამადასტურებელი ენის ფლობის თითოეული დონის სერტიფიკატით ფასდება 2 კრედიტქულით.

17. კონფერენციებში მომხსენებლად მონაწილეობა

მასწავლებლის მიერ შეფასების ჯგუფისთვის წარსადგენი დოკუმენტაცია:

1. კონფერენციის დღის წესრიგის/პროგრამის დასკანერებული ასლი;
2. საკუთარი მოხსენების/პრეზენტაციის ელექტრონული ვერსია.

მასწავლებლის შეფასების ჯგუფი განიხილავს მასწავლებლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას მისთვის კრედიტქულის მინიჭების შესახებ

მასწავლებლისთვის კრედიტქულების მინიჭება:

სასწავლო-საგანმანათლებლო და/ან სამეცნიერო პროფილის საერთაშორისო ორგანიზაციის, ან ადგილობრივი ან უცხოური უნივერსიტეტის, ადგილობრივი ან საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის, ასევე სახელმწიფო დაწესებულების მიერ, აგრეთვე, საჯარო ან კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ინიციატივით და ზემოთჩამოთვლილი ორგანიზაციების მხარდაჭერითა და მონაწილეობით ორგანიზებულ საერთაშორისო ან ეროვნულ კონფერენციებში ან სემინარებში მომხსენებლად მონაწილეობა ფასდება 1 კრედიტქულით.

18. სტაჟირება

მასწავლებლის მიერ შეფასების ჯგუფისთვის წარსადგენი დოკუმენტაცია:

1. სტაჟირების გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის ან ცნობის დასკანერებული ასლი;
2. სტაჟირების ანგარიში და/ან რეფლექსია.

მასწავლებლის შეფასების ჯგუფი განიხილავს მასწავლებლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას მისთვის კრედიტქულის მინიჭების შესახებ.

მასწავლებლისთვის კრედიტქულების მინიჭება:

მასწავლებელს ამ საქმიანობის განხორციელებისთვის ენიჭება 1 კრედიტქულა.

19. მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ან სხვა ორგანიზაციის აკრედიტებული/რეგისტრირებული ტრენინგმოდულის ავტორობა

მასწავლებლის მიერ შეფასების ჯგუფისთვის წარსადგენი დოკუმენტაცია:

- სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული ტრენინგმოდულის ავტორობის დამადასტურებელი ცნობის დასკანერებული ასლი;

  ან
- სხვა ორგანიზაციის აკრედიტებული/რეგისტრირებული ტრენინგმოდულის სახელწოდებისა და კოდის მითითება და ამ ორგანიზაციის მიერ გაცემული ტრენინგმოდულის ავტორობის დამადასტურებელი ცნობის დასკანერებული ასლი.

მასწავლებლის შეფასების ჯგუფი განიხილავს მასწავლებლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას მისთვის კრედიტქულის მინიჭების შესახებ.

მასწავლებლისთვის კრედიტქულების მინიჭება:

მასწავლებელს მიენიჭება 1 კრედიტქულა ყოველი 25-საათიანი (გათვალისწინებულია საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათები) აკრედიტებული/რეგისტრირებული ტრენინგმოდულის შექმნისთვის.

20. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ან სხვა ორგანიზაციის აკრედიტებული ტრენინგმოდულის ტრენერობა

მასწავლებლის მიერ შეფასების ჯგუფისთვის წარსადგენი დოკუმენტაცია:

- სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული ტრენინგმოდულის ტრენერობის დამადასტურებელი ცნობის დასკანერებული ასლი

  ან
- სხვა ორგანიზაციის აკრედიტებული/რეგისტრირებული ტრენინგმოდულის ტრენერობის დამადასტურებელი ცნობის დასკანერებული ასლი.

მასწავლებლის შეფასების ჯგუფი განიხილავს მასწავლებლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას მისთვის კრედიტქულის მინიჭების შესახებ.

მასწავლებლისთვის კრედიტქულების მინიჭება:

თითოეული ტრენინგმოდულით ტრენინგის ჩატარებისთვის მასწავლებელს მიენიჭება 0,5 კრედიტქულა.

21. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული ან/და სხვა დაწესებულების მიერ ორგანიზებული აკრედიტებული/რეგისტრირებული პროფესიული განვითარების პროგრამის გავლა

მასწავლებლის მიერ შეფასების ჯგუფისთვის წარსადგენი დოკუმენტაცია:

- სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული პროფესიული განვითარების პროგრამაში წარმატებით მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტის დასკანერებული ასლი;

ან

- სხვა დაწესებულების მიერ ორგანიზებული აკრედიტირებული/რეგისტრირებული პროფესიული განვითარების პროგრამაში წარმატებით მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტის დასკანერებული ასლი.

მასწავლებლის შეფასების ჯგუფი განიხილავს მასწავლებლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას მისთვის კრედიტქულის მინიჭების შესახებ.

მასწავლებლისთვის კრედიტქულების მინიჭება:

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული ან სხვა დაწესებულების მიერ ორგანიზებული აკრედიტირებული/რეგისტრირებული პროფესიული განვითარების პროგრამის გავლის შესაბამისი კრედიტქულები განისაზღვრება ინდივიდუალურად.

22. თავისუფალი გაკვეთილები

მასწავლებლის მიერ შეფასების ჯგუფისთვის წარსადგენი დოკუმენტაცია:

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტაცია.

მასწავლებლის შეფასების ჯგუფი განიხილავს მასწავლებლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას მისთვის კრედიტქულის მინიჭების შესახებ

მასწავლებლისთვის კრედიტქულების მინიჭება:

მასწავლებელს თავისუფალი გაკვთილების ჩატარებისთვის მიენიჭება 0,5 კრედიტქულა.

23. სტუდენტის/სტუდენტების კონსულტირება

მასწავლებლის მიერ შეფასების ჯგუფისთვის წარსადგენი დოკუმენტაცია:

1. მასწავლებლის კონსულტირების ანგარიში;
2. სტუდენტის/სტუდენტების მიერ შევსებული მასწავლებლის შეფასების კითხვარი.

მასწავლებლის შეფასების ჯგუფი განიხილავს მასწავლებლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას მისთვის კრედიტქულის მინიჭების შესახებ.

მასწავლებლის შეფასების სქემა

შეესაბამება - 1 ქულა, არ შეესაბამება - 0 ქულა

#	**კრიტერიუმი**	**შეესაბამება**	**არ შეესაბამება**
1	ანგარიშში დეტალურად არის წარმოდგენილი სტუდენტებთან შეხვედრების განრიგი		
2.	ანგარიშში ჩამოყალიბებულია თითოეული შეხვედრის მიზანი, აღწერილია შეხვედრის მიმდინარეობა და განხილული თემები/საკითხები		
3	ანგარიშში წარმოჩენილია სტუდენტის/სტუდენტების პროგრესი		
4	ანგარიშში გაანალიზებულია სტუდენტთა/სტუდენტებთან მუშაობის შედეგები, აღწერილია კონსულტირებისას წარმოქმნილი პრობლემები და მათი გადაჭრის გზები		
5	სტუდენტის/სტუდენტების შეფასება დადებითია		

მასწავლებლისთვის კრედიტქულის მინიჭება:

მასწავლებლის შეფასების მაქსიმალური ქულაა 5. მასწავლებელს ამ აქტივობისთვის მიენიჭება 1 კრედიტქულა, თუ იგი დააგროვებს მასწავლებლის შეფასების სქემით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ქულას.

იმისათვის, რომ მასწავლებელმა მე-5 კრიტერიუმში მიიღოს 1 ქულა, მან სტუდენტის/სტუდენტების შეფასების კითხვარით ჯამური 33 ქულიდან უნდა დააგროვოს მინიმუმ 26 ქულა.

სტუდენტის კითხვარი

#	**მახასიათებლები**	**1**	**2**	**3**

1	მასწავლებელი კონსულტირების განმავლობაში გამოირჩეოდა სტუდენტებისადმი კეთილგანწყობით	☐	☐	☐
2	მასწავლებელი, საჭიროების შემთხვევაში, ადეკვატურად რეაგირებდა შექმნილ პრობლემებზე	☐	☐	☐
3	მასწავლებელი, საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტებთან ერთად განიხილავდა ჩასატარებელ გაკვეთილს თუ სხვა აქტივობებს	☐	☐	☐
4	მასწავლებელი სტუდენტებთან ერთად განიხილავდა ჩატარებულ გაკვეთილს თუ სხვა აქტივობებს	☐	☐	☐
5	მასწავლებელი ქმნიდა გარემოს, სადაც სტუდენტებს შეეძლოთ თამამად გამოეხატათ საკუთარი მოსაზრება ჩატარებული გაკვეთილისა თუ სხვა აქტივობის ეფექტიანობასთან დაკავშირებით, გამოეთქვათ თავიანთი, თუნდაც მასწავლებლისგან განსხვავებული, მოსაზრება	☐	☐	☐
6	მასწავლებელი დროულად აწვდიდა სტუდენტებს სილაბუსით გათვალისწინებული აქტივობებისთვის საჭირო რესურსს, მაგ.გაკვეთილის გეგმას	☐	☐	☐
7	მასწავლებელი ისე გეგმავდა გაკვეთილებს, რომ სილაბუსით გათვალისწინებული საკითხები მოეცვა, რათა სტუდენტთა კონსულტირება ყოფილიყო მიზნობრივი	☐	☐	☐
8	მასწავლებელი ხელს უწყობდა სტუდენტებს, დაეგეგმათ და განეხორციელებინათ გაკვეთილი თუ სხვა სასწავლო აქტივობა მოსწავლეების აქტიური ჩართულობით	☐	☐	☐
9	მასწავლებელი პოპულარიზაციას უწევდა მასწავლებლის პროფესიას	☐	☐	☐
10	მასწავლებელი საკმარის დროს უთმობდა სტუდენტებთან თანამშრომლობას	☐	☐	☐
11	მასწავლებელი სტუდენტებთან საკომუნიკაციოდ ირჩევდა შესაბამის ოპტიმალურ ფორმებს, როგორც შეხვედრებს, ისე მიმოწერას.	☐	☐	☐

24. ზოგადი განათლების სფეროში შინაარსობრივ-კონცეპტუალური დოკუმენტების შექმნაში მონაწილეობა

მასწავლებლის მიერ შეფასების ჯგუფისთვის წარსადგენი დოკუმენტაცია:

1. ზოგადი განათლების სფეროში შინაარსობრივ-კონცეპტუალური დოკუმენტის შექმნაში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მასწავლებლის შეფასების ჯგუფი განიხილავს მასწავლებლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას მისთვის კრედიტქულის მინიჭების შესახებ.

მასწავლებლისთვის კრედიტქულების მინიჭება:

ამ საქმანობისთვის მასწავლებელს ენიჭება 1 კრედიტქულა.

25. რეცენზირებული პროფესიული ლიტერატურის შექმნა - სტატია

სტატია შესაძლებელია გამოქვეყნებული იყოს როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით.

მასწავლებლის მიერ შეფასების ჯგუფისთვის წარსადგენი დოკუმენტაცია:

- ბეჭდური სახით გამოქვეყნებული სტატიის შემთხვევაში, დასკანერებული ასლები:
    1. პერიოდული გამოცემის თავფურცელი და შიდა გვერდი, სადაც მითითებულია გამოცემის სახელწოდება, გამომცემლობა, გამოცემის წელი, სარედაქციო ჯგუფი, ISBN;
    2. პერიოდული გამოცემის სარჩევი;
    3. გვერდი/გვერდები სტატიიდან, საიდანაც დასტურდება ავტორობა;
    4. გვერდი/გვერდები სტატიიდან, სადაც მოცემულია გამოყენებული ბიბლიოგრაფია/ლიტერატურა

  აღნიშნული მასალის დასკანერებული ასლები აიტვირთება მასწავლებლის პროფესიულ საქაღალდეში.

- ელექტრონული სახით გამოქვეყნებული სტატიის შემთხვევაში
    1. ელექტრონული ჟურნალის მისამართის ან ორგანიზაციის ვებ-გვერდის მისამართი.

მასწავლებლის შეფასების ჯგუფი განიხილავს მასწავლებლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას მისთვის კრედიტქულის მინიჭების შესახებ

სტატიის შეფასების სქემა

შეესაბამება - 1 ქულა, არ შეესაბამება - 0 ქულა

#	კრიტერიუმი	შეესაბამება	არ შეესაბამება
1ა	ბეჭდური სტატია გამოქვეყნებულია სასწავლო-სამეცნიერო პროფილის მქონე რეგიონული, ეროვნული ან საერთაშორისო ბეჭდური ან ელექტრონული გამომცემლობის სამეცნიერო, რეცენზირებულ გამოცემაში		
1ბ	ელექტრონული სტატია გამოქვეყნებულია სახელმწიფო ან საერთაშორისო ან არასამთავრობო ორგანიზაციის ან პროფესიული გაერთიანების ოფიციალურ ვებ-გვერდზე		
2	სტატიის მიზანია მასწავლებლის პროფესიული განვითარება სწავლა-სწავლების ახალი მეთოდოლოგიის ან საგნობრივი შინაარსის გაცნობის გზით, ან სკოლის ადმინისტრაციის პროფესიული განვითარება სკოლის მართვის ახალი მეთოდოლოგიის გაცნობის გზით		
3	გამოქვეყნებულ მასალაში განხილული თემები ეხმიანება / შეესაბამება სასწავლო თემატიკას და აქტუალურია თანამედროვე ზოგადი განათლების სისტემისთვის.		
4	გამოქვეყნებულ მასალაში განხილული საკითხები შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, ეროვნულ სასწავლო გეგმასა და მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს		
5	გამოქვეყნებულ მასალაში მოცემული ინფორმაცია სანდოა, ავტორის მოსაზრებები/შეხედულებები გამყარებულია ფაქტებით, მითითებულია გამოყენებული ლიტერატურა.		

მასწავლებლისთვის კრედიტქულების მინიჭება:

სტატიის შეფასების მაქსიმალური ქულაა 5. იმის მიხედვით, სტატია ბეჭდური სახითაა გამოქვეყნებული თუ ელექტრონულად, ის უნდა აკმაყოფილებდეს აბ 1ა ან 1ბ კრიტერიუმს. მასწავლებელს მიენიჭება 1 კრედიტქულა, თუკი ის დააკმაყოფილებს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა კრიტერიუმს და ნოიპოვებს მაქსიმალური 5 ქულას.

26. მეთოდური ლიტერატურა

დამხმარე მეთოდური ლიტერატურა შესაძლებელია გამოქვეყნებული იყოს როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით.

მასწავლებლის მიერ შეფასების ჯგუფისთვის წარსადგენი დოკუმენტაცია:

- ბეჭდური სახით გამოქვეყნებული მეთოდური ლიტერატურის შემთხვევაში:
    1. გამოცემის თავფურცლისა და შიდა გვერდის დასკანერებული ასლები, სადაც მითითებულია გამოცემის სათაური, გამომცემლობა, გამოცემის წელი, ავტორი/ავტორები, სარედაქციო ჯგუფი, ISBN;
    2. მოქმედი მასწავლებლისა და შესაბამისი დარგის და/ან განათლების მეცნიერების აკადემიური სფეროს წარმომადგენლის რეცენზიები.
- ელექტრონული სახით გამოქვეყნებული მეთოდური ლიტერატურის შემთხვევაში:
    1. ელექტრონული გამოცემის და/ან ორგანიზაციის ვებ-გვერდის მისამართი.

მასწავლებლის შეფასების ჯგუფი განიხილავს მასწავლებლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას მისთვის კრედიტქულის მინიჭების შესახებ.

მეთოდური ლიტერატურის შეფასების სქემა

შეესაბამება - 1 ქულა, არ შეესაბამება - 0 ქულა

#	**კრიტერიუმი**	**შეესაბამება**	**არ შეესაბამება**
1ა	ბეჭდური სახით გამოცემული მეთოდური ლიტერატურა გამოქვეყნებულია სასწავლო-სამეცნიერო პროფილის მქონე რეგიონული, ეროვნული ან საერთაშორისო გამომცემლობის მიერ		
1ბ	ელექტრონული მასალა გამოქვეყნებულია სახელმწიფო ან საერთაშორისო ან არასამთავრობო ორგანიზაციის ან პროფესიული გაერთიანების ოფიციალურ ვებ-გვერდზე		

2	პუბლიკაცია რეცენზირებულია მოქმედი მასწავლებლისა და შესაბამისი დარგის და/ან განათლების მეცნიერების აკადემიური სფეროს წარმომადგენლის მიერ		
3	მეთოდური ლიტერატურის მიზანია მასწავლებლის პროფესიული განვითარება სწავლა-სწავლების ახალი მეთოდოლოგიის გაცნობის გზით		
4	გამოქვეყნებულ მასალაში განხილული თემები ეხმიანება / შეესაბამება სასწავლო თემატიკას და აქტუალურია თანამედროვე ზოგადი განათლების სისტემისთვის		
5	გამოქვეყნებულ მასალაში განხილული საკითხები შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, ეროვნულ სასწავლო გეგმასა და მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს		
6	გამოქვეყნებულ მასალაში მოცემული ინფორმაცია სანდოა, ავტორის მოსაზრებები/შეხედულებები გამყარებულია ფაქტებით, მითითებულია გამოყენებული ლიტერატურა		

მასწავლებლისთვის კრედიტქულების მინიჭება:

მეთოდური ლიტერატურის შეფასების მაქსიმალური ქულაა 6. იმის მიხედვით, მეთოდური ლიტერატურა ბეჭდური სახითაა გამოქვეყნებული თუ ელექტრონულად, ის უნდა აკმაყოფილებდეს აბ 1ა ან 1ბ კრიტერიუმს. მასწავლებელს მიენიჭება 2 კრედიტქულა, თუკი ის დააკმაყოფილებს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა კრიტერიუმს.

27. გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოს შექმნა

მასწავლებლის მიერ შეფასების ჯგუფისთვის წარსადგენი დოკუმენტაცია:

1. სახელმძღვანელოს დასკანერებული გვერდები, რომლებიც ადასტურებს მის ავტორობას და გრიფის მინიჭებას.

მასწავლებლის შეფასების ჯგუფი განიხილავს მასწავლებლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას მისთვის კრედიტქულის მინიჭების შესახებ

მასწავლებლისთვის კრედიტქულების მინიჭება:

მასწავლებელს მიენიჭება 4 კრედიტქულა, თუ მის მიერ შექმნილი სასკოლო სახელმძღვანელო დოკუმენტაციის წარდგენის დროისთვის არის მოქმედი.

28. სასწავლო რესურსის შექმნა

მასწავლებლის მიერ შეფასების ჯგუფისთვის წარსადგენი დოკუმენტაცია:

1.

სასწავლო რესურსი	**დამადასტურებელი დოკუმენტაცია**
ბეჭდური/ხელნაწერი რესურსები	- ბეჭდური რესურსის ელექტრონული ვერსია Word-ის, PDF, Power Point-ის, ან Excel-ის ფორმატში; - ხელნაწერი რესურსის დასკანერებული ასლი.
ელექტრონული რესურსები	- ვებ-გვერდის მისამართი, რომელზეც განთავსებულია ელექტრონული რესურსი / ბმული.
თვალსაჩინოება	- თვალსაჩინოების ამსახველი ფოტომასალა.

2. რესურსის გამოყენების ინსტრუქცია და რეფლექსია.

მასწავლებლის შეფასების ჯგუფი განიხილავს და აფასებს მასწავლებლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას მისთვის კრედიტქულის მინიჭების შესახებ.

სასწავლო რესურსი დადებითად არ შეფასდება შემდეგ შემთხვევებში:

- თუ სრულად არ იქნება წარმოდგენილი ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაცია;
- მასწავლებელი არ იცავს საავტორო უფლებებს (არის პლაგიატი).

სასწავლო რესურსის შეფასების სქემა

N	კრიტერიუმები	1	2	3	4
1.	**სასწავლო რესურსის გამოყენების შესაბამისობა სასწავლო მიზნებთან**	რესურსის გამოყენების მიზანი/მიზნები არ არის ჩამოყალიბებული ან ჩამოყალიბებულია, თუმცა რესურსი არ უწყობს ხელს დასახული მიზნის/მიზნების მიღწევას.	რესურსის გამოყენების მიზანი/მიზნები ჩამოყალიბებულია ზოგადად/ბუნდოვნად. რესურსი ნაწილობრივ უწყობს ხელს დასახული მიზნის/მიზნების მიღწევას.	რესურსის გამოყენების მიზანი/მიზნები ჩამოყალიბებულია. რესურსი, ძირითადად, ხელს უწყობს დასახული მიზნის/მიზნების მიღწევას.	რესურსის გამოყენების მიზანი/მიზნები მკაფიოდაა ჩამოყალიბებული. რესურსი ხელს უწყობს დასახული სასწავლო მიზნის/მიზნების სრულად მიღწევას.
2.	**სასწავლო რესურსის შესაბამისობა სამიზნე ჯგუფის თავისებურებებთან** (ასაკობრივი, სოციო-კულტური, სპეციალური საჭიროებები...)	წარმოდგენილ მასალაში ჩანს, რომ არ არის გათვალისწინებული სამიზნე ჯგუფის თავისებურებები ან წარმოდგენილ მასალაში საერთოდ არ არის დაკონკრეტებული სამიზნე ჯგუფი.	წარმოდგენილ მასალაში ჩანს, რომ ნაკლებად არის გათვალისწინებული სამიზნე ჯგუფის თავისებურებები.	წარმოდგენილ მასალაში ჩანს, რომ, ძირითადად, გათვალისწინებულია სამიზნე ჯგუფის თავისებურებები.	წარმოდგენილ მასალაში ჩანს, რომ სრულად არის გათვალისწინებული სამიზნე ჯგუფის თავისებურებები.
3.	**სასწავლო რესურსის შინაარსობრივი გამართულობა**	რესურსი შინაარსის ორგანიზებისა და თანმიმდევრულობის მხრივ არ არის გამართული, სასწავლო პროცესში ალოგიკურადაა გამოყენებული.	რესურსი შინაარსის ორგანიზებისა და თანმიმდევრულობის მხრივ ნაკლებად გამართულია, სასწავლო პროცესში ნაკლებად ლოგიკურადაა გამოყენებული.	რესურსი შინაარსობრივად გამართულია, კარგად არის ორგანიზებული და თანამიმდევრულია, თუმცა საგაკვეთილო პროცესში მისი გამოყენების ლოგიკას აკლია დამაჯერებლობა. *ან*	რესურსი შინაარსობრივად გამართულია, კარგად არის ორგანიზებული და თანამიმდევრულია. საგაკვეთილო პროცესში იგი ლოგიკურადაა გამოყენებული.

				რესურსი შინაარსობრივად ძირითადად გამართულია, მეტწილად ორგანიზებული და თანამიმდევრულია. საგაკვეთილო პროცესში ლოგიკურადაა გამოყენებული.	
4.	**სასწავლო რესურსის გამოყენების არეალი**	რესურსის მრავალჯერადად და/ან მრავალფუნქციურად გამოყენება არ არის შესაძლებელი. იგი არ უწყობს ხელს სამიზნე ჯგუფის ჩართულობასა და მრავალმხრივი უნარების განვითარებას.	რესურსის გამოყენების არეალი მცირეა (მისი მრავალჯერადად და/ან მრავალფუნქციურად გამოყენება ნაკლებად შესაძლებელია). იგი ნაკლებად უწყობს ხელს სამიზნე ჯგუფის ჩართულობასა და მრავალმხრივი უნარების განვითარებას	რესურსი მრავალჯერადია და/ან მრავალფუნქციური, იგი, ძირითადად, ხელს უწყობს სამიზნე ჯგუფის ჩართულობასა და მრავალმხრივი უნარების განვითარებას.	რესურსი მრავალჯერადი და/ან მრავალფუნქციურია,[7] ხელს უწყობს სამიზნე ჯგუფის ჩართულობასა და მრავალმხრივი უნარების განვითარებას.
5.	**რეფლექსია და სასწავლო რესურსის გამოყენების ინსტრუქცია**	რესურსის გამოყენების რეფლექსია/ინსტრუქცია არ პასუხობს ჩამოთვლილ კითხვებს, არ იძლევა ინფორმაციას რესურსის დანიშნულების,	რესურსის გამოყენების რეფლექსია/ინსტრუქცია არ პასუხობს ყველა კითხვას. პასუხები ზოგადი და ზერელეა.	რესურსის გამოყენების რეფლექსიაში/ინსტრუქცია ში ყველა კითხვაზეა პასუხი, თუმცა ზოგიერთ/რამდენიმე კითხვაზე პასუხი ზოგადია	რესურსის გამოყენების რეფლექსიაში/ინსტრუქციაში სრულყოფილად, კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობითა და არგუმენტირებულად არის გაცემული პასუხები ქვემოთ მოცემულ შეკითხვებზე:

[7] მრავალჯერადია რესურსი, თუ მისი გამოყენება ან მსგავსი რესურსის შექმნა მასწავლებლებს მისცემს საშუალებას, მიაღწიონ კონკრეტულ სასწავლო მიზანს/მიზნებს. მრავალფუნქციურია რესურსი, თუ მასწავლებლებს შეუძლიათ მისი სხვადასხვა სასწავლო მიზნით გამოყენება. რესურსი შესაძლებელია ერთდროულად იყოს მრავალჯერადიც და მრავალფუნქციურიც.

		გამოყენებისა და ეფექტიანობის შესახებ.		ან რესურსის გამოყენების რეფლექსიაში თითქმის ყველა კითხვაზეა გაცემული პასუხი არგუმენტირებულად და კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით.	✓ რამ განაპირობა რესურსის შექმნა? ✓ რამდენად შეესაბამება თქვენ მიერ შექმნილი რესურსი ესგ-თი განსაზღვრულ მისაღწევ შედეგებს? ✓ რამდენად არის გათვალისწინებული ამ რესურსის სამიზნე ჯგუფის მოსწავლეთა თავისებურებები? ✓ აღწერეთ, როგორ გამოიყენეთ რესურსი და დაასაბუთეთ საგაკვეთილო პროცესში მისი გამოყენების ლოგიკურობა; ✓ აღწერეთ ის სფეროები (თემები, ასაკობრივი კატეგორიები, საგნები...), რომლებშიც შესაძლებელია ამ რესურსის საგამანათლებლო მიზნით გამოყენება იმავე ან მოდიფიცირებული სახით - როგორ შეიძლება მისი მოდიფიცირება და გამოყენება სხვა კონტექსტში?

					✓ აღწერეთ, როგორ შეუწყო ხელი სამიზნე ჯგუფის აქტიურ ჩართულობასა და ინტერაქციას სასწავლო პროცესში აღნიშნული რესურსის გამოყენებამ? ✓ სამიზნე ჯგუფის კონკრეტულად რა უნარების განვითარებას შეუწყო ხელი და როგორ აღნიშნულმა რესურსმა? ✓ იჩინა თუ არა თავი რაიმე პრობლემამ რესურსის გამოყენებისას და როგორ გადაჭერით იგი? ✓ რა შეცვალა თქვენს პედაგოგიურ პარქტიკაში აღნიშნული რესურსის გამოყენებამ? ✓ ჩამოაყალიბეთ რესურსის გამოყენების ინსტრუქცია და დეტალურად აღწერეთ ყველა ის ფაქტორი, რომელიც მნიშვნელოვანია სხვა მასწავლებლის მიერ აღნიშნული რესურსის საგაკვეთილო პროცესში შედეგიანად გამოყენებისთვის.

მასწავლებლისთვის კრედიტქულის მინიჭება:

სასწავლო რესურსის შეფასების მაქსიმალური ქულაა 20. მასწავლებელს მიენიჭება 1 კრედიტქულა, თუ ის დააგროვებს ქულათა ჯამური რაოდენობის 60%-ს და მეტს, ანუ მინიმუმ 12 ქულას.

29. სამოდელო გაკვეთილის ჩატარება

მასწავლებლის შეფასების ჯგუფისთვის წარსადგენი დოკუმენტაცია:

1. სამოდელო გაკვეთილის გეგმა
2. რეფლექსია ჩატარებულ გაკვეთილზე

სამოდელო გაკვეთილის შეფასების სქემა

N	კრიტერიუმები	1	2	3	4
1	**გაკვეთილის მიზნის შესაბამისობა სამოდელო გაკვეთილის ტიპთან და ეროვნულ სასწავლო გეგმასთან**[8]	მიზანი არის ზოგადი და არარეალისტური, არ შეესაბამება სამოდელო გაკვეთილის არცერთ ტიპს. არ შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მისაღწევ შედეგს/შედეგებს.	მიზანი ძნელად მისაღწევია და/ან აკლია კონკრეტულობა, თუმცა მეტნაკლებად იკვეთება სამოდელო გაკვეთილის ტიპი და/ან კავშირი ეროვნული სასწავლო გეგმის მისაღწევ შედეგებთან, **ან** მიზანი კონკრეტულია, მაგრამ არ ჩანს სამოდელო გაკვეთილის ტიპი და/ან კავშირი ეროვნული სასწავლო გეგმის მისაღწევ შედეგებთან.	მიზანი ნაკლებად რეალისტურია, თუმცა მკაფიოდ არის გამოკვეთილი კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, გამოკვეთილია შერჩეული სამოდელო გაკვეთილის სპეციფიკა, **ან** მიზანი რეალისტურია, ფორმულირებულია მკაფიოდ; იკვეთება კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, თუმცა მკაფიოდ არ ჩანს შერჩეული სამოდელო გაკვეთილის სპეციფიკა.	მიზანი მკაფიოდაა ფორმულირებული და რეალისტურია; სრულად შეესაბამება სამოდელო გაკვეთილის ტიპსა და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგს/შედეგებს.
2	**გაკვეთილის მიზნის,**	აქტივობები, სტრატეგიები და კლასის ორგანიზების	აქტივობები, სტრატეგიები და კლასის ორგანიზების	აქტივობები, სტრატეგიები და კლასის ორგანიზების	აქტივობები, სტრატეგიები და კლასის ორგანიზების ფორმები სრულად

[8]შერჩეული სამოდელო გაკვეთილის ტიპიდან გამომდინარე, მიზანში ასახული უნდა იყოს შესაბამისი პუნქტი ეროვნული სასწავლო გეგმიდან.

	აქტივობების, სტრატეგიებისა და კლასის ორგანიზების ფორმების ურთიერთშესაბამისობა	ფორმები ურთიერთშეუსაბამოა და არ უწყობს ხელს გაკვეთილის მიზნის მიღწევას.	ფორმები ნაწილობრივ შეესაბამება ერთმანეთს და გაკვეთილის მიზანს, **ან** აქტივობები შეესაბამება გაკვეთილის მიზანს, მაგრამ არ შეესაბამება ორგანიზების ფორმებს და სტრატეგიებს, **ან** ორგანიზების ფორმები და სტრატეგიები შეესაბამება აქტივობებს, მაგრამ არ შეესაბამება გაკვეთილის მიზანს.	ფორმები მეტწილად შესაბამება ერთმანეთს და გაკვეთილის მიზანს, **ან** აქტივობები შეესაბამება გაკვეთილის მიზანს, ხოლო სტრატეგიები და კლასის ორგანიზების ფორმები ნაწილობრივ შეესაბამება აქტივობებს, **ან** სტრატეგიები და კლასის ორგანიზების ფორმები შეესაბამება აქტივობებს, მაგრამ აქტივობები ნაწილობრივ შეესაბამება გაკვეთილის მიზანს.	შეესაბამება ერთმანეთს და ხელს უწყობს მიზნის მიღწევას.
3	**რესურსების მრავალფეროვნება და შესაბამისობა გაკვეთილის თემასთან, მიზანთან და აქტივობებთან**	რესურსები მწირია, მათი გამოყენების არეალი ვიწროა; რესურსები არ შეესაბამება გაკვეთილის თემას, მიზანს და აქტივობებს.	რესურსები არ არის მრავალფეროვანი და/ან საინტერესო მოსწავლეებისთვის, თუმცა გარკვეულწილად შეესაბამება გაკვეთილის თემას, მიზანს და აქტივობებს.	რესურსები მრავალფეროვანია, მათი უმეტესი ნაწილი შეესაბამება გაკვეთილის თემას, მიზანსა და აქტივობებს, თუმცა არ ახლავს საკმარისი ინსტრუქცია, რის გამოც მოსწავლეებს უჭირთ მისი სრულყოფილად აღქმა/გაგება და გამოყენება.	რესურსები მრავალფეროვანია (მათ შორის, მასწავლებლის მიერ შექმნილი) და სრულად შეესაბამება გაკვეთილის თემას, მიზანსა და აქტივობებს; საინტერესოა მოსწავლეებისთვის; მათ აქვთ სრულფასოვანი ინსტრუქცია რესურსების გასაგებად და გამოსაყენებლად.

4	**შეფასების მეთოდების სტანდარტთან /სასწავლო მიზანთან/ აქტივობებთან შესაბამისობა**	შეფასების მეთოდები არ ეფუძნება სტანდარტს, არ შეესაბამება სასწავლო მიზანსა და აქტივობებს. საერთოდ არ გამოიყენება ან არაადეკვატურად გამოიყენება განმავითარებელი შეფასება.	შეფასების მეთოდები არ არის მრავალფეროვანი, სუსტია სტანდარტთან კავშირი, შესაბამისობა სასწავლო მიზანთან და აქტივობებთან მკაფიოდ არ არის გამოკვეთილი. საერთოდ არ გამოიყენება ან არასათანადოდ გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, არ ჩანს მასწავლებლის უკუკავშირი. **ან** შეფასების მეთოდები შეესაბამება სტანდარტს, მაგრამ შესაბამისობა სასწავლო მიზანთან და აქტივობებთან მკაფიოდ არ არის გამოკვეთილი. საერთოდ არ გამოიყენება ან არასათანადოდ გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, არ ჩანს მასწავლებლის უკუკავშირი.	შეფასების მეთოდები ეფუძნება სტანდარტს და დაკავშირებულია სასწავლო მიზანთან, მეთოდები ძირითადად შეესაბამება აქტივობებს, თუმცა სათანადოდ არ გამოიყენება უკუკავშირი.	შეფასების მეთოდები სრულად შეესაბამება სტანდარტს და სასწავლო მიზანს, მეთოდები მრავალფეროვანია დაკარგად არის მორგებული აქტივობებს, მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს სათანადო უკუკავშირს.
5	**საგნობრივი ცოდნა, მასალის გადაცემის სიცხადე და დასახულ მიზნებთან/ სტანდარტთან შესაბამისობა**	იკვეთება ხარვეზები საგნობრივ ცოდნაში, მასალა არ შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, **ან**	ჩანს საგნობრივი ცოდნა, თუმცა მასალის/ინფორმაციის გადაცემის ფორმა არ უზრუნველყოფს მის გაგებას, მოყვანილი მაგალითები სცდება	ჩანს საგნობრივი ცოდნა, მოყვანილი მაგალითები უკავშირდება გაკვეთილის თემას და მიზანს, გამოყენებული ლექსიკა ასაკის შესაბამისია, მასალის გადაცემის ფორმა უმეტესად	კარგად ჩანს საგნობრივი ცოდნა, მასალის გადაცემის ფორმა სწორადაა შერჩეული, რაც აადვილებს მის აღქმა-გაგებას, მოყვანილი მაგალითები შეესაბამება გაკვეთილის თემას და მიზანს, გამოყენებული ლექსიკა

		ინფორმაცია ბუნდოვანია/არ არის გასაგები, მოყვანილი მაგალითები არ შეესაბამება გაკვეთილის თემას და მიზანს	გაკვეთილის თემას და/ან მიზანს, გამოყენებული ლექსიკა არ შეესაბამება მოსწავლეთა ასაკს (ზედმეტად მარტივია ან რთული), **ან** შეიმჩნევა ხარვეზები საგნობრივ ცოდნაში, მასალის მიწოდების ფორმა არასწორია, რის გამოც ის მოსწავლეების ნაწილისთვის გაუგებარია ან რთულად აღსაქმელია, თუმცა მოყვანილი მაგალითები ადეკვატურია და შეესაბამება გაკვეთილის თემას და/ან მიზანს.	სწორადაა შერჩეული, თუმცა ზოგჯერ თავს იჩენს მოსწავლეთა მიერ ათვისების და გაგების პრობლემები.	მორგებულია მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებზე.
6*	**სამოდელო გაკვეთილის შედეგის მიღწევა**[9]				
6.1	**ინტეგრირებული გაკვეთილის შედეგის მიღწევა**	საგანთაშორისი ინტეგრირება ხელოვნურია და თვითმიზნური	საგანთაშორისი ინტეგრირება სუსტად არის გამოხატული / ზედაპირულია; მოსწავლეები მხოლოდ ერთი საგნის პერსპექტივიდან	საგანთაშორისი ინტეგრირება ლოგიკურია, გათვალისწინებული არ არის ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი: მოსწავლეები ნაკლებად ავლენენ საკითხის/საკითხების	საგანთაშორისი ინტეგრირება ლოგიკურია, გათვალისწინებულია ინტეგრირებული საგნების ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგები, გაკვეთილი ხელს უწყობს ამ შედეგების სრულად მიღწევას; მოსწავლეები ავლენენ

[9] ეს კრიტერიუმი სპეციფიკურია ოთხივე ტიპის სამოდელო გაკვეთილისთვის. ამიტომ იგი ჩაშლილია ქვეკრიტერიუმებად. შეფასების ჯგუფი გაკვეთილის შესაფასებლად ირჩიევს ერთ-ერთ ქვეკრიტერიუმს იმის მიხედვით, თუ რომელი ტიპის სამოდელო გაკვეთილს ატარებს მასწავლებელი.

			გაიაზრებენ საკითხს/საკითხებს, რაც ინტეგრირებული საგნების ესგ-თი განსაზღვრული შედეგების მიღწევას ართულებს.	მრავალმხრივი გააზრების უნარს; გათვალისწინებულია ინტეგრირებული საგნების ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგები, თუმცა გაკვეთილი სრულად არ უწყობს ხელს ამ შედეგების მიღწევას	საკითხის/საკითხების მრავალმხრივი გააზრების უნარს.
6.2	**პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილის შედეგის მიღწევა**	პრობლემა არასწორად არის დასმული, ან მოსწავლეებისთვის არ არის აქტუალური, მარტივია, ან ზედემტად რთული, რაც არ აღძრავს მათ მოტივაციას. გაკვეთილი ვერ უზრუნველყოფს დასახული მიზნის მიღწევას.	დასმული პრობლემა ნაკლებად აქტუალურია მოსწავლეებისთვის, არ არის მორგებული მათ გამოცდილებასა და შესაძლებლობებზე, რაც ვერ უზრუნველყოფს მოტივაციის შენარჩუნებას გაკვეთილის ბოლომდე; მოსწავლეები ნაკლებად ავლენენ პრობლემის გადაჭრის უნარს; გაკვეთილი ნაწილობრივ უწყობს ხელს შედეგის მიღწევას.	დასმული პრობლემა აქტუალურია მოსწავლეებისთვის, გათვალისწინებულია მათი ასაკობრივი თავისებურება და წინარე ცოდნა, რაც განაპირობებს მოსწავლეთა მოტივაციას; მოსწავლეები ავლენენ პრობლემის გადაჭრის უნარს, მაგრამ უჭირთ ალტერნატიული გზების ძიება და აქვთ ნაკლებად შემოქმედებითი მიდგომა; გაკვეთილი მთლიანობაში უწყობს ხელს შედეგის მიღწევას.	გაკვეთილი პასუხობს პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების ყველა მოთხოვნას. დასმული პრობლემა აქტუალურია მოსწავლეებისთვის, გათვალისწინებულია მათი ასაკობრივი თავისებურება და წინარე ცოდნა, რაც განაპირობებს მოსწავლეთა მაღალ მოტივაციას; მოსწავლეები ავლენენ პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიების უნარს; გაკვეთილი სრულად უწყობს ხელს შედეგის მიღწევას.
6.3.	**გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული გაკვეთილის შედეგის მიღწევა**	დაგეგმილი აქტივობები არ იძლევა დასახული გამჭოლი კომპეტენციების განვითარების საშუალებას მოსწავლეებში და ვერ უზრუნველყოფს შედეგის მიღწევას.	დაგეგმილი აქტივობები ნაწილობრივ იძლევა დასახული გამჭოლი კომპეტენციების განვითარების საშუალებას; აქტივობები ისეა დაგეგმილი, რომ მოსწავლეთა მხოლოდ	დაგეგმილი აქტივობები უწყობს ხელს განზრახული გამჭოლი კომპეტენციების განვითარებას მოსწავლეებში; გაკვეთილი მთლიანობაში უზრუნველყოფს შედეგის მიღწევას.	დაგეგმილი აქტივობები მრავალფეროვანია და სრულად უწყობს ხელს განზრახული გამჭოლი კომპეტენციების განვითარებას მოსწავლეებში; გაკვეთილი სრულად უწყობს ხელს შედეგების მიღწევას.

			მცირე ნაწილი აღწევს შედეგს.		
6.4	**ინოვაციური გაკვეთილის შედეგის მიღწევა**	გაკვეთილის თემა და/ან შერჩეული მეთოდი/მეთოდები არ არის ინოვაციური, ან შინაარსობრივად არ არის სანდო, ან მეთოდი ვერ უწყობს ხელს მიზნის მიღწევას. შესაბამისად, გაკვეთილი ვერ უზრუნველყოფს შედეგის მიღწევას.	გაკვეთილზე არის თემატური და/ან მეთოდური სიახლის შემოტანის მცდელობა, მაგრამ მასწავლებელს არა აქვს კარგად გათავისებული, რის გამოც ვერ ახერხებს მოსწავლეთა დიდი ნაწილის დაინტერესებას. შედეგიც ნაწილობრივაა მიღწეული.	თემატური და/ან მეთოდური სიახლე თანმიმდევრულად არის მიწოდებული მოსწავლეებისთვის და მათი უმეტესობის ინტერესს იწვევს. გაკვეთილი მთლიანობაში შედეგის მიღწევის საშუალებას იძლევა	თემატური და/ან მეთოდური სიახლე შემოქმედებითად და საინტერესოდ არის შემოტანილი, მასალა თანმიმდევრულად და საინტერესოდ არის მიწოდებული მოსწავლეებისთვის, რაც შედეგის სრულად მიღწევის საშუალებას იძლევა
7	**გაკვეთილის გამოყენებითი ხასიათი კოლეგებისათვის**	გაკვეთილი არ ბადებს მისი საკუთარ პრაქტიკაზე მორგების ან გამოყენების სურვილს.	გაკვეთილი ნაკლებად უწყობს ხელს კოლეგების პროფესიულ განვითარებას, თუმცა ზოგიერთი ელემენტის გათვალისწინება და გამოყენება შესაძლებელია.	გაკვეთილი მთლიანობაში ეხმარება კოლეგებს პროფესიულ განვითარებაში, მასწავლებელს უბიძგებს მისი ცალკეული ელემენტების საკუთარ პრაქტიკაზე მორგებისაკენ.	გაკვეთილი ეხმარება კოლეგებს პროფესიულ განვითარებაში, ბადებს მისი საკუთარ პრაქტიკაზე მორგების, გამოყენების დიდ სურვილს, უბიძგებს მასწავლებლებს ახალი იდეების პრაქტიკაში დანერგვისაკენ.
8	**რეფლექსია ჩატარებულ გაკვეთილზე**	გაკვეთილის რეფლექსია არ პასუხობს ჩამოთვლილ კითხვებს, არ იძლევა ინფორმაციას, თუ რა სიახლე შესთავაზა საკუთარ კოლეგებს და რამდენად დაეხმარა მათ თავიანთი პრაქტიკის გაუმჯობესებაში.	გაკვეთილის რეფლექსია არ პასუხობს ყველა კითხვას. პასუხები ზოგადი და ზერელეა.	გაკვეთილის რეფლექსიაში ყველა კითხვაზეა პასუხი, თუმცა ზოგიერთ/რამდენიმე კითხვაზე პასუხი ზოგადია **ან** გაკვეთილის რეფლექსიაში თითქმის ყველა კითხვაზეა გაცემული პასუხი არგუმენტირებულად და	გაკვეთილის რეფლექსია სრულყოფილად, კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობითა და არგუმენტირებულად პასუხობს ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს: ✓ რამ განაპირობა შერჩეული ტიპის გაკვეთილის ჩატარება? ✓ რა სარგებელი მიიღეს გაკვეთილზე დამსწრე კოლეგებმა? მოსწავლეებმა?

				კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით.	✓ იქნა თუ არა მიღწეული მიზანი? ✓ რა შეიცვლება თქვენი და თქვენი კოლეგების პედაგოგიურ პრაქტიკაში ამ გაკვეთილის ჩატარებით? ✓ სასწავლო პროცესის კონკრეტულად რა მხარეების განვითარებას / პრობლემების დაძლევას შეუწყობს ხელს და როგორ ჩატარებული გაკვეთილი? ✓ რომელი აქტივობები წარიმართა გეგმის შესაბამისად? რომელი ვერ განხორციელდა და რატომ? ✓ რომელ კომპონენტში იყო გაკვეთილი ყველაზე წარმატებული და რატომ? ✓ რა საჭიროებს გაუმჯობესებას და როგორ? ✓ რას გავითვალისწინებ მომავალში მსგავსი ტიპის გაკვეთილის მომზადებისას?

მასწავლებლისთვის კრედიტქულის მინიჭება:

სამოდელო გაკვეთილის შეფასების მაქსიმალური ქულაა 32. მასწავლებელს მიენიჭება 1 კრედიტქულა, თუ ის დააგროვებს ქულათა ჯამური რაოდენობის 75%-ს და მეტს, ანუ მინიმუმ 24 ქულას.

30. გაკვეთილის შეფასების რუბრიკა

მასწავლებლის მიერ შეფასების ჯგუფისთვის წარსადგენი დოკუმენტაცია:

1. გაკვეთილის გეგმა;
2. რეფლექსია ჩატარებულ გაკვეთილზე.

მასწავლებლის შეფასება ხორციელდება: ა) გაკვეთილის შეფასების სქემით მასწავლებლის მიერ ჩატარებული გაკვეთილის შეფასებისა და ბ) მასწავლებლის რეფლექსიის შეფასების საფუძველზე.

გაკვეთილის შეფასების სქემა

1. სასწავლო გარემო			
1.1. ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთგაგების ხელშემწყობი გარემო • მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის კეთილგანწყობილი და თანასწორობაზე აგებული ურთიერთობა. • პატივისცემით გამსჭვალული საუბარი, აქტიური მოსმენა. • მრავალფეროვნების, ეთნიკური, რელიგიური თუ კულტურული განსხვავების, აღიარება, ტოლერანტობა და მასთან დაკავშირებული აქტივობების წახალისება. • განსხვავებული აზრის მიღება და პატივისცემა.			
1	**2**	**3**	**4**
მასწავლებლის დამოკი-დებულება მოსწავლეები-სადმი, ძირითადად, სუბიექტურია ან, ხშირად, უხეშია. მასწავლებლის ქცევა უარყოფით ზეგავლენას ახდენს მოსწავლეებზე, ძაბავს გარემოს. იგრძნობა	ურთიერთობა კლასში მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის მეტწილად ფამილიარუ-ლი[10], ან ავტორიტარულია. მასწავლებელი პასიური მსმენელია, განსხვავებული მოსაზრე-ბის	ურთიერთობა კლასში მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის პატივისცემასა და მზრუნველობაზე, კეთილგაწყობაზეა აგებული. მასწავლებელი აქტიური მსმენელია,	მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის ურთიერთობა პიროვნული თანასწორობისა და თანამშრომლობის პრინციპზეა აგებული. როგორც მასწავლებელი, ისე მოსწავლე აქტიური მსმენელია, განსხვავებული მოსაზრების

[10] მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ურთიერთობა ზედმეტად შინაურული, თამამი და მოურიდებელია, არ არის აკადემიური.

უსამართლობის განცდა და/ან შიშის ატმოსფერო. მასწავლებელი არ ინტერესდება მოსწავლე-თა მოსაზრებებით და არ აძლევს მათ განსხვავებული აზრის გამოხატვის შესაძლებლობას. მოსწავლეების მიმართ აქვს ტენდენციური დამოკიდებულება (მათ შორის, განსხვავებული კულტურის, სქესის თუ საჭიროებების მქონე მოსწავლეების) მიმართ.	გამოთქმა დასაშვებია, მაგრამ არ არის წახალისე-ბული. მასწავლებელს ზერელე, ფორმალური, დისტანციური დამოკიდებულება აქვს მოსწავლეების (მათ შორის, განსხვავებული კულტურის, სქესის თუ საჭიროებების მქონე მოსწავლეების) მიმართ. ვერ ახერხებს, აღიქვას მოსწავლეები, როგორც ინდივიდები, დამოუკიდებელი პიროვნებები.	განსხვავებული მოსაზრების გამოთქმა წახალისებულია. მასწავლებელი პატივისცემითა და მზრუნველობით ეპყრობა ყველა მოსწავლეს (მათ შორის, განსხვავებული კულტურის, სქესის თუ საჭიროებების მქონე მოსწავლეების) მიმართ. ზოგადად, ატმოსფერო ჯანსაღი და კეთილგანწყობილია, თუმცა, მასწავლებელი ზოგჯერ ვერ ახერხებს ყოველ მოსწავლეზე ყურადღების გადანაწილებას.	გამოხატვა ჩვეული პრაქტიკაა. განსხვავებული მოსაზრებების გამოხატვა ინიცირებულია როგორც მასწავლებლის, ასევე მოსწავლეების მხრიდან. მოსწავლე აღქმულია, როგორც ინდივიდი. მასწავლებელი კარგად იცნობს ყოველი მოსწავლის პიროვნებას, მის შესაძლებლობებს და ცდილობს ამის გათვალისწინებით ააგოს მასთან ურთიერთობა (მათ შორის, განსხვავებული კულტურის, სქესის თუ საჭიროებების მქონე მოსწავლეების) მიმართ.

1.2. კლასის მართვა

- მოსწავლეებმა იციან ქცევის წესები და იცავენ მათ (წესების დაცვის პასუხისმგებლობის დელეგირება).
- მოსწავლეებმა კარგად იციან დაგეგმილი აქტივობების შესაბამისი წესები და იცავენ მათ.
- მასწავლებელი და მოსწავლეები საგაკვეთილო აქტივობების ცვლილებისას დროს არ კარგავენ.

1	2	3	4
მასწავლებელი ფაქტობრივად არ ან ვერ მართავს კლასს. მოსწავლეები არ იცავენ კლასში ქცევის წესებს. მათ ასევე არ იციან საერთო საკლასო, დამოუკიდებელი და ერთობლივი მუშაობის წესები ან მათი შემუშავება და დაცვა. აქტივობებისათვის განსაზღვრული დრო არ არის ადეკვატური - მეტია ან ნაკლებია. ახალ აქტივობაზე გადასვლა ან ნებისმიერი სხვა ცვლილება იწვევს კლასის	მოსწავლეებს ხშირად სჭირდებათ ქცევის წესების შეხსენება. მასწავლებელს უჭირს კლასის მართვა. მოსწავლეებს უჭირთ დამოუკიდებელი და ერთობლივი მუშაობის წესების პრაქტიკაში გამოყენება. მასწავლებელს ხშირად სჭირდება მათთვის წესების შეხსენება, რაც იწვევს დროის ფუჭად კარგვას. (წესების შეხსენება, რამდენჯერმე გამეორება	მოსწავლეები იცავენ რო-გორც კლასში ქცევის, ასევე, დამოუკიდებელი და ერთობლივი მუშაო-ბის წესებს. მასწავლებელს იშვიათად (გაკვეთილის განმავლობაში ერთი-ორჯერ)[11] უწევს მათი შეხსენება. საგაკვეთილო პროცესი გეგმაზომიერად მიმდინარეობს და, ძირითადად, სასწავლო დრო ფუჭად არ იკარგება.	მოსწავლეები იცავენ ქცევის წესებს. მათ კარგად იციან საერთო საკლასო, დამოუკიდებელი და ერთობლივი მუშაობის წესები. მოსწავლეები (ასაკის შესაბამისად) კლასის მართვის თანამონაწილენი არიან, რადგან იზიარებენ პასუხისმგებლობას კლასში არსებულ სიტუაციაზე. მთელმა კლასმა იცის, თუ როგორ უნდა დროის ეფექტურად გამოყენება.

[11] დაწყებითი კლასებისათვის დასაშვებია წესების მრავალჯერადი შეხსენება.

დეზორგანიზებას, ხმაურს და იკარგება სასწავლო დროის დიდი ნაწილი.	დაწყებითი კლასებისათვის არ არის უარყოფითი მახასიათებელი).		

1.3. სასწავლო რესურსი

- რესურსის ეფექტიანი (მიზნობრივი) გამოყენება.
- მოსწავლეებისათვის სასწავლო რესურსის თანაბარი ხელმისაწვდომობა და უსაფრთხო გამოყენება.
- ავეჯის (როგორც რესურსის) საკლასო აქტივობების შესაბამისად განლაგება.
- ყველა მოსწავლის (მათ შორის, სსსმ მოსწავლეების) ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით სასწავლო რესურსის მომზადება.

1	2	3	4
მასწავლებელი არ იყენებს სასწავლო რესურსს (თუმცა ჩანს, რომ ამის შესაძლებლობა არის) და/ან იყენებს არამიზნობრივად. ავეჯის განლაგება ხელს უშლის სასწავლო პროცესს. გაკვეთილის მიმდინარეობისას მასწავლებელი არ ითვალისწინებს მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებებს.	მასწავლებელი იყენებს სასწავლო რესურსს, თუმცა შესაძლებელია მისი უფრო ეფექტიანი (მიზნობრივი) გამოყენება; მოსწავლეები არ არიან ჩართულები რესურსების გამოყენების პროცესში. ისინი მხოლოდ პასიური დამკვირვებლები არიან. ავეჯი არ არის განლაგებული აქტივობის შესაბამისად, მასწავლებელი ცდილობს, ცვლილების შეტანას, მაგრამ პროცესი არაორგანიზებულია. მასწავლებელი ცდილობს, რესურსი მოარგოს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, მაგრამ ხშირად არ გამოსდის.	სასწავლო რესურსს მასწავლებელი ეფექტიანად (მიზნობრივად) იყენებს და ახერ-ხებს მოსწავლეთა უმეტესობის ჩართვას ამ პრო-ცესში. თუ მასწავლებელი საკლასო ორგანიზაციის ფორმის შესაბამისად ცვლის ავეჯის განლაგებას კლასში, ეს პროცესი ორგანიზებულია. სასწავლო რესურსი მოსწავლეთა უმეტესობისთვის ხელმისაწვდომია, მასწავლებელს დამხმარე რესურსი მომზადებული აქვს ინდივიდუალურ საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებით.	მასწავლებელი და მოსწავლეები ეფექტიანად (მიზნობრივად) იყენებენ სასწავლო რესურსს. მასწავლებელი იყენებს მოსწავლეების მამოტივირებელ სასწავლო რესურსს. ფიზიკური გარემო შეესაბამება საკლასო ორგანიზაციის ფორმას. მოსწავლეები თავად მონაწილეობენ ფიზიკური გარემოს მოწყობაში ან რესურსის შექმნაში. სასწავლო რესურსი ყველა მოსწავლისთვის ხელმისაწვდომია, რადგან გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები.

2. სწავლება

2.1. მოსწავლეებთან კომუნიკაცია

2.1. ა. სასწავლო მიზნებისა და შინაარსის განმარტება

- გაკვეთილის მიზნის სიცხადე (მკაფიოობა)
- კონცეფციების, ცნებების, წესების და ა.შ. მკაფიო/ზუსტი განმარტება.
- საგნობრივი შინაარსის უშეცდომოდ გადმოცემა.
- ინფორმაციის ორგანიზება.
- სამეტყველო ენის მრავალფეროვნება[12] და კორექტული გამოყენება (უცხოური ენების შემთხვევაში - სწორი მახვილები სიტყვებში).
- საუბრის ტემპის, ინტონაციის, კომუნიკაციის არავერბალური საშუალებების ეფექტური გამოყენება.

1	2	3	4
გაკვეთილის მიზანი და თემა მოსწავლეებისთვის არ არის გასაგები - მასწავლებელი არც ერთ ეტაპზე არ განმარტავს მას მოსწავლეებისათვის. მასწავლებლის მიერ შინაარსის ახსნა-განმარტება არ შეესაბამება მოსწავლის ცოდნის დონეს, ასაკს (იყენებს ბევრ უცნობ ტერმინს და სათანადოდ არ განმარტავს, უშვებს უხეშ შეცდომებს ან უყურადღებოდ ტოვებს მოსწავლის მიერ დაშვებულ უხეშ შეცდომას). გაკვეთილზე მიწოდებული ინფორმაცია არ არის ორგანიზებული. მასწავლებლის ზეპირი და წერითი მეტყველება გაუმართავია; მასწავლებლის აკადემიური ლექსიკა	მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს გაკვეთილის თემას, მაგრამ არ განუმარტავს სასწავლო მიზანს[13]. მასწავლებლის მიერ საკითხის განმარტება შესაძლოა შეიცავდეს მცირე შეცდომებს, ახსნისა და დავალების რაღაც ნაწილი მოსწავლისათვის გასაგებია, ნაწილი - რთულია, ხოლო ნაწილი ცოდნის დონისა და ასაკის შეუსაბამოა. მოსწავლის მიერ დაშვებულ შეცდომას მასწავლებელი აღნიშნავს, მაგრამ არ უსწორებს მას. მიწოდებული ინფორმაცია ნაწილობრივ არის სტრუქტურირებული. მასწავლებლის მეტყველება გამართულია, მაგრამ ლექსიკა მწირია, თუმცა, მოსწავლისათვის გასაგები.	გაკვეთილის თემა და სასწავლო მიზანი განმარტებულია მოსწავლეებისათვის. განმარტებები უკავშირდება მოსწავლეთა ცოდნასა და გამოცდილებას[14]. მასწავლებელი უყურადღებოდ არ ტოვებს მოსწავლის მიერ დაშვებულ შეცდომებს და მიუთითებს, რა არის სწორი. მასწავლებლის მიერ მიწოდებული ინფორმაცია კარგად სტრუქტურირებულია. მასწავლებლის ზეპირი და წერითი მეტყველება გამართულია. მასწავლებლის მიერ აკადემიური ლექსიკის გამოყენება ხდება სიზუსტის დაცვით და ემსახურება მოსწავლეთა მიერ საკითხის ღრმად გააზრებას. ხმის სხვადასხვა პარამეტრის მანიპულირებით მასწავლებელი	მასწავლებელი მიმართებებს ამყარებს საგაკვეთილო მიზანსა და გრძელვადიან მიზნებს შორის, მოსწავლეებს თავიანთი წვლილი შეაქვთ შინაარსის განმარტების დაზუსტებაში. მოსწავლეები ერთმანეთს ეხმარებიან საგნობრივი შინაარსების გაგებასა და შესწორებაში. ინფორმაცია ორგანიზებუ-ლია, მასწავლებელი ხელიდან არ უშვებს შესაძლებლობას, გაამდიდროს მოსწავლეების ლექსიკური მარაგი როგორც საგნის ფარგლებში, ასევე ტერმინთა და სიტყვათა ზოგადი გამოყენების თვალსაზრისით. მოსწავლეები სწორად იყენებენ აკადემიურ ტერმინებს. მასწავლებელი სიტუაციის შესაბამისად იყენებს მიმიკას, ჟესტიკულაციას, ჩანს, რომ მოსწავლეებსა და მასწავლებელს შორის

[12] უცხოური ენების შემთხვევაში გაკვეთილი, ძირთადად, უნდა მიმდინარეობდეს სწავლების სამიზნე ენაზე.

[13] ან/და გამონაკლისის სახით: მასწავლებელმა ცხადად გაუმარტა მიზანი მოსწავლეებს, მაგრამ გაკვეთილის დასასრულისთვის მიზანი არ არის მიღწეული.

[14] ან/და გამონაკლისის სახით: მასწავლებელს არ განუმარტავს მოსწავლეებისთვის გაკვეთილის მიზანი, მაგრამ გაკვეთილი ისე წარმართა, რომ მიზანი მიღწეულია.

მოსწავლეთა ცოდნის დონის შეუსაბამოა, ბუნდოვანია. მასწავლებელი საუბრობს ძალიან სწრაფად ან მონოტონურად, ინტონაცია ერთფეროვანია, რაც იწვევს მოსწავლეების ყურადღების მოდუნებას.	მასწავლებელს არ უჭირს საკუთარი ემოციებისა და მიმიკის, ჟესტიკულაციის მართვა, მაგრამ ის ვერ ცვლის საუბრის ინტონაციას იმის მიხედვით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მოსწავლეებისთვის მიწოდებული ინფორმაცია, ვერ იყენებს პაუზას საჭიროებისამებრ.	მიანიშნებს მოსწავლეებს იმაზე, თუ რა არის მნიშვნელოვანი მის მიერ მიწოდებულ ინფორმაციაში. მასწავლებლის საუბრის ტონი მშვიდი, გაწონასწორებული, ზომიერია და ხელს უწყობს მოსწავლეებს ყურადღების კონცენტრაციაში (არ არის დამაბნეველი, დამღლელი).	დამყარებულია ეფექტური კომუნიკაცია. მასწავლებლის მზერა, მინიშნებები, გახანგრძლივებული პაუზა მოსწავლეებისთვის გასაგებია. **შენიშვნა:** დაწყებით საფეხურზე უმაღლეს შეფასებას იმსახურებს იმ ელემენტების გამოვლენაც, რომელთა მიხედვითაც ჩანს, რომ კლასში შექმნილია განწყობა მოსწავლეებიც ჩაერთონ შინაარსის განმარტებაში, მიზნის დაზუსტებაში.

2.1. მოსწავლეებთან კომუნიკაცია

2.1. ბ. ინსტრუქციები აქტივობებისთვის.

- სასწავლო აქტივობებისთვის გაკვეთილის სპეციფიკის გათვალისწინებით გაცემული მკაფიო ინსტრუქციები.
- სპეციალური, ადაპტირებული ინსტრუქციები[15].

1	2	3	4
მიუხედავად საჭიროებისა, მასწავლებელი არ იძლევა მითითებებს ან მის მიერ გაცემული ინსტრუქცია აქტივობის შეუსაბამოა. სასწავლო აქტივობების შესრულების ინსტრუ-ქციები არ არის მორგებული ინდივიდუალურ საჭიროებებს, მასწავლე-ბელი მოსწავლეებისათვის შეიმუშავებს მხოლოდ საერთო ინსტრუქციებს, რაც ზოგიერთ	მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს მითითებებს/ ინსტრუ-ქციებს, რომლებიც ბუნდოვანი, დამაბნეველი ან ძალიან ზოგადია; იქმნება დამატებითი განმარტებების მიცემის საჭიროება. მასწავლებელი მოსწავლეებისათვის შეიმუშავებს ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ ინსტრუქციებს, თუმცა ზოგჯერ ვერ იყენებს მათ სათანადოდ.	მითითებები ნათელია, ინსტრუქციები განმარტებულია მკაფიოდ და შესაძლოა, მოდელირებულიც. მასწავლებელს მოსწავლეებისათვის შემუშავებული აქვს ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული ინსტრუქციები და მათ სათანადოდ იყენებს. მას იშვიათად უწევს მოსწავლეებისთვის დამატებითი ინსტრუქციების მიცემა.	მოსწავლეებს კარგად ესმით მასწავლებლის მოკლე მინიშნებაც. ინსტრუქციები მკაფიოა და მოიცავს მოსწავ-ლეთა სავარაუდო შეცდომების პრევენციას. ნათელია, რომ მოსწავლე-ებისთვის მიცემული ლაკონიური მითითებაც საკმარისია მათ მიერ დავალების სწორად შესასრულებლად. სასწავლო აქტივობების შესრულების ინსტრუქციების შემუშავების დროს გათვალისწინებულია მოსწავლეთა განსხვავებული საჭიროებები.

[15] იმ შემთხვევაში, თუ კლასში არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლე, მაშინ იგულისხმება მათთვის შემუშავებული ინსტრუქციებიც.

მოსწავლეს რთულ სიტუაციაში აღმოაჩენს.			

2.2. **სწავლების სტრატეგიები**[16]

- განსხვავებული სააზროვნო დონეების აქტივაციის მიზნით გამოიყენება სხვადასხვა ფორმისა (ღია და დახურული) და ტიპის შეკითხვები (მაგალითად, დამაზუსტებელი, მიმანიშნებელი, შემაჯამებელი და ა. შ.).
- კითხვის ტიპისა და სირთულის მიხედვით, პასუხის მოსაფიქრებლად დრო სწორად არის განსაზღვრული.
- გაკვეთილზე გამოყენებული სტრატეგიები მიზნის შესაბამისია.
- სტრატეგიები წინასწარ მომზადებულია, კარგად დაგეგმილი, (შეიძლება სპონტანურადაც წარიმართოს, თუმცა არ უნდა იყოს ქაოტური)
- მოსწავლეების მოსაზრებები და არგუმენტები ეფექტიანად არის გამოყენებული მსჯელობის პროცესში.
- სტრატეგიის გამოყენების დროს მასწავლებელს ეკისრება ფასილიტატორის როლი.

1	2	3	4
სწავლების სტრატეგიები არ არის კარგად დაგეგემილი, პროცესი ქაოსურია, მიზნის შეუსაბამოა. მასწავლებლი სვამს შეკითხვებს, რომლებიც შეესაბამება დაბალ კოგნიტურ დონეს, ე.ი. ორიენტირებულია მხოლოდ ცოდნის შემოწმებაზე. მასწავლებლისთვის მისაღები აღმოჩნდა მოსწავლის არასწორი პასუხები ან პასუხები მსჯელობის, განმარტების გარეშე. სწავლების სტრატეგიის გამოყენების დროს მასწავლებლის როლი ყოველთვის დომინანტურია,	სწავლების სტრატეგიები წინასწარ დაგეგმილია, თუმცა არ არის კარგად ორგანიზებული, აქტივობა/მეთოდი ნაწილობრივ შეესაბამება მიზანს. მასწავლებელი ხანდახან სვამს სააზროვნო შეკითხვებსაც, მაგრამ მხოლოდ ერთსა და იმავე მოსწავლეებს მიმართავს. მასწავლებელი თითქოს ცდილობს, შეკითხვა სხვა მოსწავლეებსაც დაუსვას, მაგრამ ამას ფორმალური ხასიათი აქვს. სწავლების სტრატეგიის გამოყენების დროს მასწავლებლის როლი ხშირ შემთხვევაში დომინანტურია; მოსწავლეები საკითხებზე ზედაპირულად მსჯელობენ.	მასწავლებელს წინასწარ აქვს დაგეგმილი გაკვეთილის მიზნის შესაბამისი სწავლების სხვადასხვა სტრატეგია და ეფექტურად წარმართავს მათ; ამასთან, საჭიროებისამებრ მიმართავს იმპროვიზაციას და მოქნილად ცვლის სწავლების სტრატეგიებს. უმეტესად მასწავლებელი სვამს შეკითხვებს, რომლებიც საკითხის გააზრებას უწყობს ხელს. მაშინაც კი, როდესაც მასწავლებელი დაბალი სააზროვნო დონის შეკითხვებს სვამს, ცდილობს, კითხვა ისე იყოს ფორმულირებული, რომ უბიძგებდეს მოსწავლეებს საკითხის გააზრებისაკენ. არ კმაყოფილდება მოკლე და მზა	მასწავლებელის მიერ გაკვეთილისთვის წინასწარ შერჩეული ან იმროვიზირებული სწავლების ყველა სტრატეგია მიზნის შესაბამისია; მასწავლებელი გაკვეთილის მსვლელობის დროს იყენებს მრავალფეროვან კითხვებს, რომლებიც მოსწავლეებისაგან დაფიქრებას, საკითხის გააზრებასა და მსჯელობას მოითხოვს. მასწავლებელი თანმიმდევრულია კითხვების დასმის დროს, იწყებს მარტივით და თანდათან ართულებს მათ. მაღალი სააზროვნო დონის შეკითხვების გამოყენებით მასწავლებელი აგრეთვე ხელს უწყობს მოსწავლეთა მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. ხშირად კითხვის დასმის

[16] ამ კომპონენტით ვერ შეფასდება სპორტის გაკვეთილები. სპორტის გაკვეთილის შეფასების ჯამური და გამსვლელი ქულების შესახებ იხ. ქვემოთ („მასწავლებლისთვის კრედიტქულების მინიჭება“)

საკითხებზე მსჯელობისას მოსწავლეები პასიურები არიან.		პასუხებით. იგი მოსწავლეს პასუხისათვის აძლევს საკმარის დროს და კლასში შეკითხვით მიმართავს მოსწავლეთა უმრავლესობას. მასწავლებელი წარმართავს სასწავლო აქტივობას და საჭიროების შემთხვევაში ეხმარება მოსწავლეებს მსჯელობის ჩამოყალიბებაში. მოსწავლეების მსჯელობა არგუმენტირებულია.	ინიციატორები მოსწავლეებიც არიან. მასწავლებელი ეფექტურად იყენებს მათ ინიციატივას და გაკვეთილი დინამიურად მიმდინარეობს. მოსწავლეები არგუმენტირებულად მსჯელობენ, - აჯამებენ, გამოაქვთ დასკვნები. მასწავლებელი ფასილიტატორის როლშია და მთელ კლასს წარმატებით რთავს სწავლა-სწავლების პროცესში.

2.3. მოტივაცია და ჩართულობა

- გაკვეთილი ხალისიანია, გამოყენებულია მრავალფეროვანი მამოტივირებელი აქტივობები.
- მთელი გაკვეთილის მანძილზე მოსწავლეები (მათ შორის სსსმ მოსწავლეები) აქტიურად არიან ჩართულები საგაკვეთილო პროცესში, მაშინაც, როდესაც დავალებები შეესაბამება მაღალ სააზროვნო დონეს.
- გაკვეთილის მიმდინარეობა დინამიურია, ტემპი ოპტიმალურია: არც ნელი და არც სწრაფი.
- მოსწავლეები ამჟღავნებენ ინტერესს, ცდილობენ პრობლემების გადაწყვეტას.

1	2	3	4
მოსწავლეები დავალებების შესრულების დროს ინერტულები არიან. მასწავლებელი თავს არიდებს გაკვეთილზე მრავალფეროვანი აქტივობების გამოყენებას. გაკვეთილი თავიდან ბოლომდე უხალისოდ და დუნედ მიმდინარეობს. მოსაბეზრებელი და დამღლელია. მოსწავლეები მხოლოდ ფორმალურად ესწრებიან გაკვეთილს ან დაკავებული	მარტივი დავალებების გამოყენებით მასწავლებელი ახერხებს გაკვეთილში მოსწავლეთა ჩართვას, მაღალი სააზროვნო დონის შესატყვისი დავალებების შეთავაზების დროს მოსწავლეთა უმრავლესობა წყვეტს აქტიურობას. მასწავლებელი არ ზრუნავს საგაკვეთილო პროცესის გადახალისებაზე და უჭირს მოსწავლეთა ინტერესის შენარჩუნება გაკვეთილის ბოლომდე, მათი უმეტესობა პასიურია.	მასწავლებელი წაახალისებს მოსწავლეთა მონდომებას, ძალისხმევას, შედეგად, მოსწავლეები თამამად ეჭიდებიან მაღალი სააზროვნო დონის შესატყვის დავალებებსაც. მასწავლებელი ცდილობს, დააინტერესოს მოსწავლეები, რასაც აღწევს გაკვეთილზე მრავალფეროვანი აქტივობების გამოყენებით. მოსწავლეთა უმრავლესობა ინტელექტუალურად ჩართულია	მასწავლებელი ისე წარმართავს გაკვეთილს, რომ მოსწავლეები კოგნიტურად არიან ჩართულები სასწავლო პროცესში, განსაკუთრებული ინტერესით ეჭიდებიან მაღალი სააზროვნო დონის შესატყვის დავალებებს.[17] გაკვეთილი თავიდან ბოლომდე ხალისიანად და დინამიურად მიმდინარეობს, მასწავლებელი იყენებს მრავალფეროვან სტრატეგიებს. პროცესი ინტერაქტიურია, მასწავლებლის განსაკუთრებული

[17] სპორტის შემთხვევაში, გაკვეთილის შეფასებისას არ იქნება გათვალისწინებული მაღალი სააზროვნო უნარების კომპონენტი.

არიან არასასწავლო აქტივობით, ერთმანეთთან საუბრით, არასერიოზული რეპლიკებით და ა.შ. მასწავლებელი არ ზრუნავს, რომ ყველა მოსწავლე იყოს ჩართული საგაკვეთილო პროცესში.	მასწავლებელი ცდილობს, შეინარჩუნოს გაკვეთილის ტემპი საკუთარი და არა მოსწავლეების აქტიურობის ხარჯზე. მასწავლებელი ცდილობს სსსმ მოსწავლის ჩართვას საგაკვეთილო პროცესში, მაგრამ მას მოაქცევს ყურადღების ცენტრში და ამ დროს სხვა მოსწავლეები რჩებიან უყურადღებოდ.	სასწავლო პროცესში. გაკვეთილის ტემპი ოპტიმალურია. მასწავლებელი აქტიურად ზრუნავს მოსწავლეების (მათ შორის სსსმ მოსწავლის) ჩართვაზე, რასაც წარმატებით ახერხებს.	ძალისხმევის გარეშე ყველა ეტაპზე საგაკვეთილო პროცესში თანაბრად ჩართულია ფაქტობრივად ყველა მოსწავლე (მათ შორის სსსმ მოსწავლეც). **შენიშვნა:** სწავლების დაწყებით საფეხურზე უმაღლეს მიღწევად უნდა მივიჩნიოთ ამგვარი შედეგების ელემენტების გამოვლენა.

2.4. სწავლების დროს შეფასების გამოყენება[18]

- მოსწავლეებმა იციან შეფასების კრიტერიუმები/რუბრიკა.
- მასწავლებელი სისტემატურად ამოწმებს მოსწავლეების მიღწევებს სხვადასხვა მეთოდით: ზეპირი ან წერითი გამოკითხვა, პრეზენტაცია, კითხვების დასმა და ა.შ..
- მონიტორინგის საფუძველზე მასწავლებელი მოსწავლეებს რეგულარულად აწვდის უკუკავშირს.
- მასწავლებელი ეფექტურად იყენებს შექებას და წახალისებას.

1	2	3	4
მოსწავლეები არ იცნობენ შეფასების კრიტერიუმებს. მასწავლებელი არ ამოწმებს, რამდენად კარგად გაიგეს მოსწავლეებმა საკითხი, არ ამოწმებს შესრულებულ დავალებას. მასწავლებელი არ აწვდის მოსწავლეებს უკუკავშირს, ან მხოლოდ უარყოფითი კომენტარით შემოიფარგლება.	მოსწავლეებს მხოლოდ ზოგადი წარმოდგენა აქვთ, თუ რას ნიშნავს კარგი და ცუდი პასუხი/შესრულება. კითხვები და სხვა ტიპის შეფასების ინსტრუმენ-ტები გამოიყენება სწავ-ლის შედეგების დიაგნოს-ტირებისათვის, თუმცა მოსწავლეები იღებენ ზოგადი ხასიათის უკუ-კავშირს - ის მთელი კლასისათვისაა განკუთვ-ნილი ან არ არის დაზუს-ტებული, რომელ ქმედე-ბას მოსდევს. მასწავლებე-ლი	მოსწავლეები იცნობენ შეფასების კრიტერიუმებს. მასწავლებელი მონიტორინგს უწევს მოსწავლეთა სწავლის პროცესს, სვამს დამაზუსტებელ შეკითხვებს. მასწავლებლის მიერ მოსწავლეთა ჯგუფებისათვის ან თითოეული მოსწავლისათვის მიწოდებული უკუკავშირი ზუსტი და სპეციფიკურია. მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს განმავითარებელ შეფასებას[19]. მოსწავლეების შეცდომებს (შესრულებული დავალების	მოსწავლეები შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით მონაწილეობენ შეფასების პროცესში (თვითშეფასება, ერთმანეთის შეფასება). მასწავლებელი მონიტორინგს უწევს მოსწავლეთა სწავლის პროცესს სხვადასხვა მეთოდით/ფორმით. ამის საფუძველზე მოსწავლეები იღებენ სხვადასხვა სახის უკუკავშირს, როგორც მასწავლებლისაგან, ასევე თანაკლასელებისაგან. მიღებული უკუკავშირი არის ზუსტი, სპეციფიკური და ემსახურება სწავლის გაუმჯობესებას.

[18] სპორტის შემთხვევაში შეფასდება მხოლოდ განმავითარებელი შეფასების გამოყენება.

[19] ეს არის აუცილებელი პირობა მე-3 დონეზე მოხვედრისთვის.

მასწავლებელი არ აქებს მოსწავლეებს ან შექებას იყენებს არასწორად: მოსწავლეებს ადარებს ერთმანეთს, რითიც იწვევს არაჯანსაღ კონკურენციას. *თუ მასწავლებელი მოსწავლეებს წარუდგენს შეფასების კრიტერიუმებს, რომლებიც არის ძალიან ზოგადი და ბუნდოვანია მოსწავლეებისათვის. კრიტერიუმების წარდგენას ფორმალური ხასიათი აქვს, მასწავლებელი ამ კრიტერიუმებს არ იყენებს.	შესრულებულ დავალებას ამოწმებს ფორმალურად. მასწავლებელი შექებას იყენებს იშვიათად ან გადაჭარბებულად, ისიც მხოლოდ იმ მოსწავლე-ებთან, რომლებიც ისედაც აქტიური და წარმატებულები არიან. * თუ მასწავლებელი წარმოადგენს გაკვეთილ-ზე შეფასების კრიტერიუ-მებს, რომელიც ნაწილობრივ შეესაბამება გაკვე-თილზე გამოყენებულ აქტივობებს, მაგრამ მოსწავლეების შეფასების დროს, ის ვერ ახერხებს სრულფასოვნად სქემის გამოყენებას.	შემოწმების დროს აღმოჩენილ პრობლემებს, შეცდომებს, ხარვეზებს) მასწავლებელი ეფექტურად იყენებს სწავლებისასთვის. მასწავლებლის შექება, ძირითადად, ადეკვატურია. მასწავლებელი შექების დროს არის გულწრფელი, აქებს როგორც სუსტ, ასევე ძლიერ მოსწავლეებს და არ ადარებს მათ ერთმანეთს. შექებისას წაახალისებს მოსწავლის მიერ დახარჯულ ძალისხმევას. *მასწავლებელს არ აქვს წინასწარ წარდგენილი შეფასების კრიტერიუმები, მაგრამ შეფასების დროს მოსწავლეებს განუმარტავს მათგანს.	*თუ მასწავლებელი წარმოადგენს შეფასების კრიტერიუმებს (ან არ წარმოადგენს, მაგრამ შეფასების დროს გამოჩნდება, რომ აქვს და მოსწავლეებმაც იციან), კრიტერიუმები არის კონკრეტული აქტივობის შესატყვისი, ცალსახა და მოსწავლეების შეფასების დროს არ ირღვევა ობიექტურობის პრინციპი.

გაკვეთილის შეფასების მაქსიმალური ქულაა 32. გაკვეთილი დადებითად შეფასებულად ჩაითვლება, თუ ის დააგროვებს ქულათა ჯამური რაოდენობის 75%-ს, ანუ მინიმუმ 24 ქულას.

სპორტის გაკვეთილის შეფასების მაქსიმალური ქულაა 28. გაკვეთილი დადებითად შეფასებულად ჩაითვლება, თუ ის დააგროვებს ქულათა ჯამური რაოდენობის 75%-ს, ანუ მინიმუმ 21 ქულას.

მასწავლებლის რეფლექსიის შეფასების სქემა

დიახ - 1 ქულა, არა - 0 ქულა

#	კრიტერიუმი	დიახ	არა
1	მასწავლებელი აანალიზებს და აფასებს მის მიერ ჩატარებულ გაკვეთილს, მიღწეულ შედეგებს		
2	მასწავლებელს დასაბუთებული აქვს გაკვეთილზე გამოყენებული აქტივობების ეფექტურობა მიზნის მისაღწევად		

3	მასწავლებელი აღნიშნავს, მოხდა თუ არა გაკვეთილის გეგმის / განსაზღვრული აქტივობების მოდიფიცირება გაკვეთილის მსვლელობისას, აღწერს და ასაბუთებს ამ ცვლილებების აუცილებლობას		
4	მასწავლებელი აანალიზებს გამოვლენილ ხარვეზებს / დაშვებულ შეცდომებს და გამოაქვს სათანადო დასკვნები, სახავს საკუთარი საქმიანობის გაუმჯობესების გზებს		

მასწავლებლის რეფლექსიის შეფასების მაქსიმალური ქულაა 4. რეფლექსია დადებითად შეფასებულად ჩაითვლება, თუ ის დააგროვებს ქულათა მაქსიმალურ რაოდენობას.

მასწავლებელისთვის კრედიტქულის მინიჭება: შიდა საგაკვეთილო დაკვირვებისთვის მასწავლებელი მოიპოვებს 2 კრედიტქულას, თუ მის მიერ ჩატარებული გაკვეთილი და რეფლექსია შეფასდება დადებითად.